პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 177 (5278) | ხუთშაბათი, 4 აგვისტო 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

რუსეთის სდმპ მეორე კრილობის 35 წლისთავი (მოწვინავე)
საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამოხმაურება იაპონელთა სამხედრო ხროვის პროვოკაციულ მოქმედებაზე (1-ლი გვ.)
ვ. ი. ლენინის სიტყვა რსდმპ II კრილობაზე პროგრამის პროექტის შესახებ კამათის დროს (მე-3 გვ.)
რსდმპ II კრილობის რეზოლუციები (მე-3 გვ.)
ი. ლევინი — ბრძოლა პარტიის პროგრამისათვის (მე-3 გვერდი)
სერგეი მესხი (მე-2 გვ.)
ბოლშევიზმის საბანძურიდან (მე-4 გვ.)
გ. ურჯუმელაშვილი — გავაუმჯობესოთ თავდაცვა ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა (მე-2 გვ.)

უცხოეთში:
ხასანის ტბის რაიონში მომხდარი შეტაკებიდან გამო (1-ლი გვ.)
მძლავრი ანტიფაშისტური დემონსტრაციები (1-ლი გვ.)
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
შეტაკებები ვენაში (მე-4 გვ.)

რუსეთის სდმპ II კრილობის 35 წლისთავი

შესრულდა 35 წელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის II კრილობის გახსნის დღიდან; 1903 წლის 30 ივლისი ერთერთი ჭეშმარიტად დაუვიწყარი და შესანიშნავი თარიღია ჩვენი პარტიისა და საერთოდ მუშათა რევოლუციური მოძრაობის მთელ ისტორიაში.

XIX საუკუნის დასრულებასთან ერთად დასრულდა კაპიტალიზმის განვითარებისა და მუშათა მოძრაობის ეგრეთწოდებული მშვიდობიანი პერიოდი და დადგა ახალი პერიოდი, იმპერიალიზმის დასამხობად და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დასაპყრობად პირდაპირი მზადების, კლასების აშკარა შეტაკებების პერიოდი,—პროლეტარული რევოლუციის პერიოდი.

II ინტერნაციონალის პარტიები, რომლებიც შეგუებული იყვნენ მშვიდობიან საპარლამენტო ბრძოლას და სინამდვილეში წარმოადგენდნენ მხოლოდ საარჩევნო აპარატს, საპარლამენტო ფრაქციის დანართს, უძლურნი აღმოჩნდნენ რაიმე სერიოზული გაეკეთებინათ ახალ ეპოქაში, ომებისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში. II ინტერნაციონალის პარტიებზე დაყრდნობით, რომლებიც კარლ კაუტსკის აღიარებით, მხოლოდ „მშვიდობიანობის ინსტრუმენტებს" წარმოადგენდნენ, პროლეტარიატს ფიქრიც კი არ შეეძლო რევოლუციის მომზადებაზე, ძალაუფლების დაპყრობაზე.

„აქედან აუცილებლობა ახალი პარტიისა, მებრძოლი პარტიისა, რევოლუციური პარტიისა, რომელიც საკმაო გამზედაობას გამოიჩენს იმისათვის, რომ წაიყვანოს პროლეტარიატი ძალაუფლების დაპყრობისათვის საბრძოლველად, რომელიც საკმაოდ გამოცდილი იქნება, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში და საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ მოუაროს ყველა და ყოველგვარ წყაღქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

ასეთი პარტიის გარეშე ფიქრიც კი ზედმეტია იმპერიალიზმის დამხობაზე, პროლეტარიატის დიქტატურის დაპყრობაზე.

ეს ახალი პარტია არის ლენინიზმის პარტია" (სტალინი).

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ძირითადი მონახაზები პარტიის, როგორც პროლეტარიატის მოწინავე რაზმის შესახებ, ურომლისოდაც პროლეტარიატს არ შეუძლია მიაღწიოს თავის განთავისუფლებას. ამ მონახაზების შემდგომი განვითარება იმპერიალიზმის პერიოდში პროლეტარიატის ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით, და ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შექმნის დიადი ისტორიული როლი წილად ხვდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს და მის სახელოვან მოწაფეს და თანამებრძოლს ამხანაგ სტალინს.

„ხალხთა საპყრობილე"—მეფის რუსეთი წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს. იგი იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრისა, ძალადობისა და უმაგალითო ექსპლოატაციისა. „ცარიზმი იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი, თვისებების თავმოყრა" (სტალინი). აი ამიტომ იყო, რომ სწორედ რუსეთი გახდა ლენინიზმის კერად, პროლეტარული რევოლუციის თეორიისა და ტაქტიკის სამშობლოდ.

პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი უმაგალითოდ ძნელ პირობებში, ცარიზმის მხრით უსასტიკესი დევნის, შევიწროვების, მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა და გადასახლებათა პირობებში, ჰქმნიდნენ და აყალიბებდნენ ახალი ტიპის პარტიის უჯრედებს, აწრთობდნენ რევოლუციონერთა შესანიშნავ კადრებს, ანვითარებდნენ პროლეტარული რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას ახალ პირობებთან შეფარდებით, სჭედდნენ პროლეტარიატის მებრძოლ პარტიას,—ბოლშევიკურ პარტიას.

ჯერ კიდევ II კრილობამდე უდიდესი მუშაობა იქნა ჩატარებული ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული წრეებისა და ორგანიზაციების შესამჭიდროვებლად მებრძოლ საერთო—რუსულ პარტიად. ამ პერიოდში განსაკუთრებული როლი შეასრულა ლენინურმა „ისკრამ", რომელმაც მაღლა ასწია მარქსიზმის რევოლუციური თეორიისათვის ბრძოლის დიადი დროშა.

II კრილობის მთავარი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ შეექმნა პარტია იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რომლებიც წამოყენებული და გამომუშავებული იყო ლენინური „ისკრის" მიერ. II კრილობაზე ძირითადი საკითხი იყო ორგანიზაციული საკითხი. ამიტომ სწორედ ორგანიზაციული საკითხის ირგვლივ, განსაკუთრებით კი პარტიის წესდების პირველი მუხლის ირგვლივ, გაიშალა მკაცრი და პრინციპული ბრძოლა რევოლუციურ მარქსიზმსა და ოპორტუნიზმს შორის.

ჯერ კიდევ ამ 35 წლის წინათ, პარტიის II კრილობაზე, მუშათა კლასის დაუძინებელმა მტრებმა — მენშევიკებმა და მათთან ერთად საზიზღარმა იუდა-ტროცკიმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ლენინს და მის მომხრეებს.

II კრილობაზე უთანხმოებამ იჩინა თავი როგორც პროგრამული, ისე ტაქტიკური და ორგანიზაციული ხასიათის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში. მაგრამ თუ საქმის ნამდვილი არსის მიხედვით ვიმსჯელებთ, მთავარი, რამაც გამოიწვია პარტიის გათიშვა ორ მოპირდაპირე ნაწილად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად, ეს იყო ორგანიზაციული საკითხი, კერძოდ კი საკითხი იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია იყოს პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის წევრი და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი.

რსდმპ II კრილობამ შეასრულა მსოფლიო-ისტორიული როლი: მან დასაბამი მისცა ბოლშევიზმს, როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობას. ამასთან ლენინის და ბოლშევიკების ბრძოლას ოპორტუნიზმის წინააღმდეგ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

ისტორიამ დაადასტურა, რომ მართალი იყვნენ ლენინი და ლენინელები, რომ მხოლოდ პროლეტარიატის მებრძოლ პარტიას, რომელსაც გააჩნია ნამდვილად რევოლუციური პროგრამა და რკინისებური ორგანიზაცია, მხოლოდ ლენინიზმის პრინციპებზე აგებულ პარტიას შესწევს უნარი წაიყვანოს პროლეტარიატი ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და წარმატებით დაავგვირგვინოს პროლეტარული რევოლუციის საქმე.

ისტორიამ გვიჩვენა, რომ იმ მრავალრიცხოვან პარტიათა და მიმდინარეობათა შორის, რომლებიც ამ ქვეყნად არსებობენ, მხოლოდ ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ შესძლო სათავეში ჩასდგომოდა ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლუციას, დაეშხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მუშათა კლასის მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში გამოეჭედა სსრ კავშირის ხალხთა ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრება.

აი ამიტომ უყვარს საბჭოთა ხალხს ასე ღრმად თავისი ღვიძლი ბოლშევიკური პარტია და უდიდესი ინტერესით სწავლობს მის სახელოვან, გმირულ ისტორიას.

ამიტომ იმეორებს საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულითა და აღფრთოვანებით იმ ადამიანთა ძვირფას სახელებს, რომლებმაც ყველჯურის მტრებთან სასტიკ და დაუნდობელ ბრძოლაში გამოსჭედეს დიადი ბოლშევიკური პარტია, — პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის სახელებს.

„ლენინიზმი არის მთლიანი თეორია, რომელიც წარმოიშვა 1903 წელს, რომელმაც გაიარა სამი რევოლუციის გამოცდა და ახლა მიმართება წინ, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო დროშა" (ი. სტალინი).

გაუმარჯოს ლენინიზმს!

ხასანის ტბის რაიონში მომხდარი შეტაკების გამო

2 აგვისტოს, გარიჟრაჟზე, იაპონელთა ჯარებმა კვლავ დაიწყეს შეტევა მაღლობ ზაოზერნაიაზე, რომელიც საბჭოთა ტერიტორიაზე მდებარეობს და რომლისთვისაც სწარმოებდა ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში. საბჭოთა ტერიტორიაზე იაპონელთა ნაწილების გადმოსვლისას მათ საბჭოთა მხრით არტილერიამ სროლა აუტეხა და ჰაერიდან ყუმბარები დაუშინეს, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა მათ.

იმ ცნობებს, რომელსაც ავრცელებენ იაპონიის დეპეშათა სააგენტოები და გაზეთები მანჯურიისა და კორეის ტერიტორიებზე საბჭოთა ყუმბარმზიდების ფრენის შესახებ, გადაჭრით უარყოფენ საბჭოთა კომპეტენტური წრეები. აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის დაწყებისთანავე საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს დაიცვას მხოლოდ საბჭოთა კავშირის უდავოდ კუთვნილი ტერიტორია და რომ როგორც სახმელეთო, ისე საჰაერო ნაწილები, ზუსტად იცავენ რა ამ დირექტივას, ყოველთვის მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა ტერიტორიის ფარგლებში იმყოფებიან. ფიქრობენ, რომ აღნიშნულ ცნობებს განზრახ ავრცელებს იაპონელთა დაინტერესებული სამხედრო ხროვა, რათა გაამართლოს თავისი განმეორებითი შეტევები საბჭოთა ტერიტორიის წინააღმდეგ და ის უდიდესი მსხვერპლი, რის გაღებაც მას უხდება. გამოსთქვამენ აგრეთვე მოსაზრებას, რომ იაპონელთა სამხედრო ხროვას თავის პროვოკაციული მოქმედებისათვის აქვეზებს ზოგიერთი იაპონელი დიპლომატი. ამ პირობებში აუცილებლად ითვლება საომარი მოქმედების შემდგომი განგრძობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს უაღრესად სერიოზული შედეგები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის მშრომელებში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია იაპონელ ფაშისტთა თავხედურმა პროვოკაციამ

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხანაში

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, მუშა-ქალები, ინჟინერ-ტექნიკოსები ფაშიზმის წინააღმდეგ წყრომით აღსავსე სიტყვებით გამოვიდნენ გუშინ სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ ვაგონ - სარემონტო ქარხნის კოლექტივის მიტინგზე საამწყობო საამქროს მუშამ ამხ. პ. ჟავჟანიძემ განაცხადა: რამდენიც არ უნდა იყეფოს იმპერიალიზმის ფინიამ, ის ვერაფერს დააკლებს საბჭოთა ქვეყნის წითელ საზღვრებს, რადგან ამ საზღვრებს დარაჯად უდგას ჩვენი სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია.

— არავითარი შიში, არავითარი პანიკა ჩვენ არ გვიპყრობს ფაშისტ მტაცებელთა შემოტევის გამო,—ასე დაიწყო თავისი სიტყვა საამწყობო საამქროს მუშამ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა—ამხ. ი. დევსურაშვილმა, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი მძლავრი წითელი არმია და საბჭედრო-საზღვაო ფლოტი გამანადგურებელ პასუხს გასცემენ იაპონელ ფაშისტთა თავხედურ პროვოკაციას. ამ ყაჩაღთა ბრბოების პროვოკაციის საპასუხოდ ჩვენ ენერგიულად ვიმუშავებთ ჩვენს ქარხანაში, ვიბრძოლებთ გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის, კიდევ უფრო ენერგიულად ვიბრძოლებთ სოციალისტური ტრანსპორტის გაძლიერებისათვის.

ომის გამჩაღებელ ყაჩაღთა ხროვისადმი ასეთი ზიზღით აღსავსე სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის დანარჩენი მუშებიც: გ. დავიდოვი, ბ. სამთელაძე, ი. გრუტკინი და სხვები.

მიტინგის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ - სარემონტო ქარხნის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ხუთათასიანი კოლექტივი ვაცხადებთ, რომ იაპონიის სამხედრო ხროვის პროვოკაციული მოქმედების პასუხად კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბოლშევიკურ სიფხიზლეს ტროცკისტ-ბუხარინელთა ნაბოლარებთან ბრძოლაში და კიდევ უფრო დავარაზმებთ საწარმოო გეგმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ვადაზე ადრე შესრულებისათვის. უფრო მჭიდროდ დავარაზმებით მარქს - ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი დროშის გარშემო, ბრძენი სტალინის გარშემო".

მზად ვართ პირველ დაძახებისთანავე

თბილისის ტრამვაის და ტროლეიბუსის ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგის რეზოლუციიდან

ჩვენ, თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსის ტრესტის მუშა-მოსამსახურენი, რომლებიც შევიკრიბენით სახელდახელო მიტინგზე, უდიდეს აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოთქვამთ ჩვენს წითელ საზღვარზე იაპონიის სამხედრო ხროვის თავხედური თავდასხმის გამო.

იაპონელ იმპერიალისტთა ეს პროვოკაციული გამოსვლა, წარმოადგენს ნაბიჯს ახალი მსოფლიო ომის ხანძრის დასანთებად. იაპონელი ქოფაკების მადა არ კმაყოფილდება ჩინეთის ხალხის სისხლით, ისინი ოცნებობენ იმაზე, რომ დაიპყრონ ჩვენი აყვავებული შორეული აღმოსავლეთის ტერიტორია, კოლონიური უღელი დაადგან საბჭოთა ხალხს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ არა მარტო იაპონელ იმპერიალისტებს, არამედ მათ თანამოძმეებს დასავლეთში,—გერმანელ და იტალიელ ფაშისტებს—ომის გამჩაღებლებს სძულთ საბჭოთა კავშირი. ისინი ამზადებენ ომს მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ჩვენ არ გვეშინია ფაშისტ ქოფაკთა არავითარი ყეფის, არავითარი მუქარის. „ჩვენ მშვიდობიანობას ვუჭერთ მხარს და მშვიდობიანობის საქმეს ვიცავთ. მაგრამ ჩვენ მუქარისა არ გვეშინია და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას" (სტალინი).

დაე კარგად ახსოვდეთ ფაშისტ ქოფაკებს, რომ საბჭოთა კავშირს ჰყავს წითელი არმია, — დეგგმირებისაგან შემდგარი ლეგიონები, რომლებიც ყოველ წუთს, ყოველი მიმართულებით მზად არიან მოსპონ მტერი მისსავე ტერიტორიაზე. საბჭოთა ხალხი პარტიისა და მთავრობის პირველი დაძახებისთანავე, დიდი სტალინის პირველი დაძახებისთანავე, მზად არის აღსდგეს და თავს დაატეხოს მტერს მძლავრი რისხვა.

ამ თავხედური პროვოკაციის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავარაზმებით ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის, ხალხთა საყვარელი ბელადის, ამხანაგ სტალინის გარშემო, რათა კიდევ უფრო გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი დიადი აყვავებული სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა.

დაე იცოდეს ყველამ, რომ საბჭოთა ხალხი თავისი აყვავებული სამშობლოს არცერთ მტკაველს არავის დაუთმობს.

იაპონელი აგრესორები ანგარიშში მოსჯუვდებიან

გუშინ პირველი ცვლის მუშაობის გათავების შემდეგ თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ეზოში სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე თავი მოიყარა ამ ქარხნის 600-ძდე მუშა-მოსამსახურემ.

იაპონიის სამხედრო ხროვის ახალი თავხედური პროვოკაციის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. გ. მოსიძე.

სიტყვით გამოვიდა მექანიკური საამქროს ინჟინერი ამხ. ა. მელაძე. მან სთქვა, რომ სტალინურმა სახკომმა ამხანაგმა ლიტვინოვმა დროზე გააფრთხილა, მთელი ჩვენი ქვეყნის სახელით, იაპონიის ვაიდიპლომატები, რომ მუქარის პოლიტიკას ჩვენში გასავალი არ აქვს. ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი, როგორც ერთი კაცი, აღსდგება ჩვენი უდაოდ კუთვნილი ტერიტორიის დასაცავად და მალე დავინახავთ, რომ იაპონელი აგრესორები ანგარიშში მოსტყუვდებიან.

სიტყვებით გამოსული ამხანაგები: შ. შაკილაძე, კ. კლანი, მ. ბაგდანოვი, ა. ალაპოვი, ს. ტაინოვი და ბ. გრიგორიევი გამოსთქვამდნენ საერთო აღშფოთებასა და გულისწყრომას იაპონიის თავხედური პროვოკაციის გამო. ისინი სიტყვას იძლეოდნენ, რომ კიდევ მეტად გაამახვილებენ სიფხიზლეს და გაზრდიან შრომის ნაყოფიერებას.

მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ქარხნის მშრომელებს მოუწოდებს სიფხიზლის გამახვილებისა და მობილიზაციური მზადყოფნისაკენ.

ბათუმის მშრომელთა ხმა

(„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 3 აგვისტო. დღეს ბათუმის ყველა წარმოება-დაწესებულებაში შესდგა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც სიტყვებით გამოსული მშრომელნი უსაზღვრო გულისწყრომას გამოსთქვამდნენ იაპონელთა ხროვის მიერ საბჭოთა ქვეყნის ტერიტორიის გადმოლახვის გამო.

ბათუმის ნავსადგურის სახელოსნოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა მიტინგზე გამოსულმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა სტახანოველმა ი. დვალიშვილმა, სახელოსნოს ინჟინერმა ა. კუნჭულიამ, საამქროს უფროსმა პ. კაკაბაძემ, სტახანოველებმა: ზაგარუიკომ და პანოჩევმა ილაპარაკეს რა იაპონელთა ხროვის აღმაშფოთებელი მოქმედების შესახებ, აიღეს ვალდებულებები მიმდინარეთვის საწარმოო გეგმები შეასრულონ ვადაზე ადრე.

მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებში ნათქვამია: ბათუმის მშრომელნი იაპონელთა ხროვის საზიზღარი მოქმედების პასუხად გააძლიერებენ ბრძოლას საწარმოო გეგმების კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით შესრულებისათვის. უფრო შემჭიდროვდებიან სახელოვანი წითელი არმიისა და უძლეველი კომუნისტური პარტიის გარშემო, საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო.

ბრძოლა ანტიფაშისტური დემონსტრაციებით

პრაღა, 2 აგვისტო (საკდესი). 31 ივლისიდან—პირველ აგვისტომდე მთელ ჩეხოსლოვაკიაში გაიმართა მძლავრი ანტიფაშისტური დემონსტრაციები, რომლებიც ერთიანი ფრონტის ლოზუნგებით ჩატარდა. ყველაზე უფრო დიდი დემონსტრაცია, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ მოაწყო, ქალაქ კოშიცეში (სლოვაკია) შესდგა. დემონსტრაციასა და მიტინგში მონაწილეობას იღებდა 8.000 კაცი. ჩეხოსლოვაკიის შინაპოლიტიკური მდგომარეობისათვის მიძღვნილი ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა კომპარტიის გენერალური მდივანი ჰოტვალდი, რომელიც მოუწოდებდა მიტინგზე დამსწრე მშრომელებს — ჩეხებს, სლოვაკებს, გერმანელებსა და უნგრელებს ანტიფაშისტური ერთიანი ფრონტის გაფართოებისა და განმტკიცებისაკენ. „ჩვენ გვინდა,—განაცხადა ჰოტვალდმა, — რომ ჩვენი წითელი დროშების გვერდით აქ ფრიალებდეს ფაშისტური აგრესიის მუქარის წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებული ყველა ორგანიზაციის დროშები. რესპუბლიკის დაცვა ჩეხოსლოვაკიაში მოსახლე ყველა ხალხის მოვალეობაა, რადგან ფაშისტური მუქარა ეხება არა მარტო ჩეხებს, არამედ სხვა ეროვნებებსაც, მათ რიცხვში სლოვაკებსაც".

მიმართა რა მიტინგის მონაწილე მშრომელ სლოვაკებს, ჰოტვალდმა მოუწოდა მათ ბრძოლისაკენ გლინკის პარტიის (გერმანია-პოლონეთის ფაშიზმის აგენტურა სლოვაკიაში) სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ.

დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართა 1-ლ აგვისტოს ქალაქ ხოდოვოში (დასავლეთ ჩეხიის მოსაზღვრე პუნქტი), მონაწილეობას იღებდა 6.000 მშრომელი—კომპარტიის, ჩეხიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და აგრეთვე სხვა ანტიფაშისტური ორგანიზაციების წევრები.

მიტინგი დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჰიმნის, „მარსელიოზისა" და „ინტერნაციონალის" შესრულებით, რაშიაც მონაწილეობა მიიღო ყველა 6.000 დამსწრემ.

ტალღა ანტიფაშისტური დემონსტრაციებისა, რომლებიც გარეშე აგრესიის მუქარისა და ფაშიზმის წინაშე ჩეხური რეაქციის კაპიტულიერების ცდების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ლოზუნგებით ტარდება, მთელ ჩეხოსლოვაკიას მოედო. გუშინ ანტიფაშისტური დემონსტრაციები გაიმართა ქალაქ ჩესკე კრუმლოვში (სამხრეთი ჩეხია), სადაც მონაწილეობას იღებდა 1500 კაცი, ლიტენში (დასავლეთი ჩეხია), სადაც მონაწილეობდა 2.000 კაცი, ხომუტოვში (დასავლეთი ჩეხია) და სხვაგან. სოციალისტური ახალგაზრდობის დემონსტრაციები გაიმართა ქალაქ ფალკნოვში, ხაბაროვიცში (ჩრდილოეთ-დასავლეთი ჩეხია) და სხვაგან. ლიტენის მიტინგზე გამოცხადდა ადგილობრივი გარნიზონის დელეგაცია, რომელსაც დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ.

7.985 მეტრის სიმაღლეზე

2 აგვისტოს მფრინავმა ამხ. ნ. დ. ფედოსეევმა „გ—23-ბის" მსუბუქსასპორტო თვითმფრინავზე, რომელიც მოწყობილია 150 ცხენისძალიანი „მ—11-ე" მოტორით, მოახდინა ბრწყინვალე გაფრენა სიმაღლეზე.

9 საათსა და 11 წუთზე ღიანაცრისფერი მონოპლანი, რომელსაც ამხ. ფედოსეევი მართავდა, ადვილად მოსწყდა ტუშინოს აეროდრომის ამწყვანებულ ზედაპირს და სწრაფად აცურდა ჰაერში. 4 წუთის შემდეგ თვითმფრინავი უკვე 2000 მეტრის სიმაღლეზე იყო. გავიდა კიდევ ცოტა ხანი და მანქანა დაიმალა ფენებად დაფლეთილ ღრუბლებში, რომლებითაც ცა თითქმის მთლიანად მოცული იყო.

აფრენიდან 1½ საათის შემდეგ თვითმფრინავი „გ—23-ბის" უკვე კვლავ აეროდრომის ველზე მოგორავდა. მფრინავს შეხვდნენ თვითმფრინავის კონსტრუქტორი ამხ. გრიბოვსკი, მასთან ერთად მომუშავე ამხანაგები და პრესის წარმომადგენლები.

ალტიმეტრის ჩვენებით, მფრინავმა ამხ. ფედოსეევმა მიაღწია 7.985 მეტრის სიმაღლეს, რითაც შორს ჩამოიტოვა უკან სიმაღლის საერთაშორისო რეკორდი, რომელიც საფრანგეთის მფრინავმა ანდრე ჟაპიმ დაამყარა. ამხ. ფედოსეევმა გადააჭარბა აგრეთვე სიმაღლეზე ფრენის იმ შედეგსაც, რასაც მიაღწია საბჭოთა მფრინავმა ამხ. გროძიანსკიმ, რომელიც აფრინდა 23 ივლისს ამავე მანქანით. ანდრე ჟაპიმ 1937 წლის 31 დეკემბერს ამ კატეგორიის თვითმფრინავით 5268 მეტრის სიმაღლეს მიაღწია, ამხ. გროძიანსკი 7390 მეტრზე აფრინდა.

ყველა ხალხი ერთად

ინგლისის ფეოდალ-ბურჟუაზიული ელფერი

ინგლისის ფეოდალ-ბურჟუაზიული ელფერი ბოლო ხანებში ინტენსიურად ავრცელებს ანტისემიტურ ლიტერატურას. ინგლისელ ფეოდალ-ბურჟუაზიულ ელფერს ეშინია, ეშინია ინგლისელ ხალხებისა, ეშინია ინგლისელ ხალხებისა, ეშინია ინგლისელ ხალხებისა

თბილისის აგურის ქარხნებმა მუშაობა უნდა გააუმჯობესონ

თბილისის ადგილობრივი მრეწველობის აგურის წარმოებამ მიმდინარე წლის პირველი ნახევარი გარღვევებით დაასრულა. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 91,7 პროცენტით. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენა არის ალიზის დამზადებაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში თბილისის აგურის ქარხნებში გეგმით გათვალისწინებული იყო 11.843.000 ცალი ალიზის მოჭრა, ფაქტიურად კი დამზადებულ იქნა 10.569.000 ცალი — გეგმის 84 პროცენტი.

პირველი იანვლისათვის თბილისის აგურის ქარხნებში ირიცხებოდა 339 მუშა, მათ შორის ბევრია სტახანოველებიც, რომლებიც იძლევიან შრომის მაღალ ნაყოფიერებას. მაგალითად, მეშვიდე ქარხანაში სტახანოველმა მეყალიბემ ა. ყაზარიანმა ალიზის დაყალიბების ივნისის მეორე ნახევრის გეგმა 213 პროცენტით შეასრულა, ხოლო პირველი ქარხნის სტახანოველმა გამომტვირთველმა ს. გრიგორიანმა 3.000 ცალი აგურის ნაცვლად გამოტვირთა 4.900 ცალი და სხვ.

მიუხედავად ამისა, თბილისის აგურის ქარხნებში სტახანოვური მოძრაობა დღემდე არ გამხდარა ნამდვილად მასობრივ მოძრაობად. მეოთხე, მეზუთე, მეექვსე და მეშვიდე ქარხნების მეთაურებმა დღემდე ისიც არ იციან, თუ რამდენი სტახანოველი და დამკვრელია მათს საწარმოებში.

მთელ რიგ ქარხნებში, მაგალითად, აგურის მესამე ქარხანაში, საზელავი მანქანები სრული დატვირთვით არ მუშაობს. ამავე ქარხანაში საზელავი მანქანა № 3 მთელ ორ თვეს უმოქმედოდ იდგა მხოლოდ იმიტომ, რომ ქარხნის დირექციამ ვერ უზრუნველჰყო სათანადო მუშა-ხელის (შეყალიბეების) თავის დროზე შეგროვება.

ვერც საკარიერო მეურნეობა დგას ჯეროვან სიმაღლეზე. მეექვსე ქარხნის თიხის კარიერი დაშორებულია საზელავ მანქანას 50-100 მეტრი მანძილით, რაც აბრკოლებს დასაზელი თიხის დროზე მიტანას და ადიდებს ალიზის თვითღირებულებას.

ცხადია, ასეთ პირობებში ალიზის დამზადების გეგმა არ შესრულდება.

აგურის გამოწვაში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ნახევარი წლის განმავლობაში გეგმით უნდა გამოეწვათ 8.994.000 ცალი აგური. ფაქტიურად, განვლილ ექვს თვეში დამზადებულია 9.107.000 ცალი — გეგმის 101,3 პროცენტი.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, აგურის გამოწვის დარგშიაც არის ნაკლოვანებანი. ეს განსაკუთრებით შეეხება გეგმის ტექნიკური ძაჩვენებლების შესრულებას. მაგალითად, მთავრობის დადგენილებით, თბილისის აგურის ქარხნებში ღუმელის სივრცის ერთ კუბურ მეტრზე უნდა აეღოთ 900 ცალი აგური, ფაქტიურად იღებენ არა უმეტეს 750 ცალისა, ზოგან კი უფრო ნაკლებსაც (500—550 ცალს). ღუმელებში ცეცხლის სადღეღამისო ბიჯი გეგმით უნდა უდრიდეს 15-დან 18 მეტრს, ფაქტიურად ქარხნების უმრავლესობაში გადიან 8-9 მეტრს, იშვიათ შემთხვევაში კი—10 მეტრს.

აგურის გამოწვის გეგმის შესრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გამოსაწვავი ღუმელების თვიურ მობრუნებას, რაც 3-ს მაინც უნდა უდრიდეს. ფაქტიურად კი თბილისის ქარხნებში, ცეცხლის ნელი სვლისა და ღუმელების მცირე წვადობის გამო, ღუმელის თვიური მობრუნება შეადგენს 2-ს, უკეთეს შემთხვევაში 2,5-ს.

აღნიშნული ქარხნების უმრავლესობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქვანახშირის გადახარჯვას. ასე, მაგალითად, ვაკის ჯგუფის ქარხნებში 6 თვის განმავლობაში ნორმასთან შედარებით გადახარჯულია 93 ტონა ქვანახშირი, ხოლო პირველ და მესამე ქარხნებში—48 ტონა. ამრიგად, ყოველ 1.000 ცალ აგურზე გადახარჯვა შეადგენს 15 კილოგრამს.

ცხადია ქვანახშირის ასეთი განიავება არა მარტო საწარმოთა სათბობი ბალანსის დაძაბულობას იწვევს, არამედ პროდუქციის თვითღირებულებასაც ადიდებს და ამით ჰქმნის საწარმოთა დაძაბულ ფინანსიურ მდგომარეობას.

საჭიროა ქარხნების ადმინისტრაციამ და თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ხელმძღვანელებმა გადაჭრით გარდაჰქმნან მუშაობა, ფართოდ გაშალონ სტახანოვური მოძრაობა. ბოლშევიკურად უხელმძღვანელონ სოცშეჯიბრებასა და დამკვრელობას, აამაღლონ მომუშავეთა იდეურ-პოლიტიკური დონე, და დაუნდობლად აღმოფხვრან საზიზღარი მავნებლობის შედეგები.

შ. გოზალიშვილი
ზ. ასათაშვილი

ჩაის კრეფის ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზები

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

გავიდა ივლისიც, რომლის განმავლობაში ლანჩხუთის რაიონის ბოლშევიკებს უნდა ეჩვენებინათ გარდატეხა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში და წინა თვეების დანაკლისი დაფარვასთან ერთად ამოეწურათ ივლისის საგეგმო დავალებანი.

მაგრამ ასე არ მოხდა. ივლისის გეგმა ითვალისწინებდა 970.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფას, მოკრეფილია 697.388 კილოგრამი, რაც გეგმის 71,8 პროცენტს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიონმა ივლისს განშავლობაში სოციალისტურ სახელმწიფოს დააკლო 273,5 ტონა ჩაის ფოთოლი.

1 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 52,3 პროცენტით.

რამ გამოიწვია ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა? არახელსაყრელი ამინდებისა და სხვა „ობიექტიური“ პირობების მომიზეზება — ეს იქნებოდა, მეტი რომ არა ვთქვათ, სინამდვილეზე ხელისდაფარება, ნამდვილი მიზეზებისათვის განზრახ გვერდის ავლა და მდგომარეობის გამოსწორების სურვილის უქონლობა.

მართალია, გასულ წელთან შედარებით რაიონმა 20-25 დღით დაგვიანებით დაიწყო ჩაის კრეფა, რასაც სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკები უამინდობით და ვეგეტაციის დაგვიანებით ხსნიან, მაგრამ ეს როდია ჩამორჩენის მიზეზი. ნამდვილი მიზეზი მდგომარეობს არაორგანიზებულობაში, უდარდელობაში, მუშაობის თვითდინებისადმი მინდობაში, ადგილებზე ხელმძღვანელობის სისუსტეში, სოცშეჯიბრების სათანადოდ არ გაშლაში.

პლანტაციების თავის დროზე გამარგვლას, ნიადაგში სასუქის თავის დროზე შეტანას ყურადღება არ ექცეოდა (შამათი, წყალწმინდა, აცანა, ჭანჭათი). არ ჩატარებულა სათანადოდ ჩაის მავნებლებთან — ფარიანებთან და ჩრჩილთან ბრძოლა. დელფინის საპონი, რომლითაც მკურნალობა უნდა ჩაეტარებინათ, რაიონში საკმაო რაოდენობით არ შემოწიდეს, დელფინის საპნის არსებული რაოდენობაც რაციონალურად არ გამოიყენეს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში სასუქი პლანტაციებში შეტანილია „მოვალეობის მოხდის“ წესით და არა საჭიროების მიხედვით. მაგალითად, ს. მამათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე—ვასო ჩხაიძე) სასუქი შეუტანიათ მხოლოდ მახლობლად მდებარე, ადვილად მისადგომ პლანტაციებში. მაღლობი ადგილები კი, სადაც ასვლა დაზარებიათ, უსასუქოდ არის დატოვებული. ამას რომ თავი დავანებოთ, ამავე კოლმეურნეობის 8 ჰექტარ პლანტაციას თოხიც კი არ გაჰკარებია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. ამ პლანტაციის არსებობა მხოლოდ წელს ივლისში გაიგო კოლმეურხეობის ხელმძღვანელობამ.

გაუთოხნავი პლანტაციების ნაკვეთების აღმოჩენა ერთეული შემთხვევები როდია. ასეთი ნაკვეთი აღმოჩნდა ჯურუყვეთის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე—ალექსაია).

ახლა აღმოჩნდა აგრეთვე ისიც, რომ პლანტაციების არსებული ფართობი გაცილებით ნაკლებია გეგმაში შეტანილ რაოდენობაზე. პლანტაციის ფართობის რაოდენობა ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს განგებ გაუბერავს სახელმწიფოსაგან მეტი კრედიტის მიღების მიზნით. ჯერჯერობით აღმოჩენილია 72 ასეთი „ცრუ აქტი“. ქვემოჩიბათს ზედმეტი აქვს ნაჩვენები 12 ჰექტარი, ჯურუყვეთს — ამდენივე, ხიდმაღალას—13 ჰექტარი, ღრმაღელეს — 8 ჰექტარი. ისეთი შემთხვევაც არის, რომ ახლად დათესილი პლანტაციაც დავიწყებიათ. მაგალითად, სოფელ მამათში ახლა აღმოაჩინეს 5-6 ჰექტარი ახლად გაშენებული პლანტაცია, რომლის არსებობა აქამდე არ ახსოვდათ.

ასეთ არევ-დარევას, უწესრიგობას დაემატა ისიც, რომ შარშან კრეფის დროს უხეშად ირღვეოდა აგროწესები. მაღალი ციფრით გატაცებული ბუჩქების უზომო ექსპლოატაციას ეწეოდნენ, რამაც ისინი საგრძნობლად დასუსტა. მაგალითად, ქვემო-აკეთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში 23 ჰექტარი პლანტაცია მარშან ისე გაუძარცვავთ, რომ წელს ნაკლებად იძლევა დუყებს. ყოველივე ამას დაუმატეთ მუშა-ხელის არასაკმაოდ გამოყენება, შრომის მოუწესრიგებლობა მთელ რიგ კოლმეურნეობებში, კრეფის ცუდი ორგანიზაცია, სოცშეჯიბრების გაუშლელობა, და ნათელი გახდება რაიონის სამარცხვინო ჩამორჩენის მიზეზები. გასული თვეების დიდი დავალიანება ერთგვარ დაძაბულობას ჰქმნის აგვისტოში. ამ თვეში უნდა შესრულდეს წლიური გეგმის 24 პროცენტი — უნდა მოიკრიფოს 768.000 კილოგრამი. ამას თუ მივუმატებთ ივლისის დანაკლისს, უნდა მოიკრიფოს მილიონ 41 ათას კილოგრამზე მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიონმა ყოველდღიურად უნდა ჰკრიფოს 41,6 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რის შესრულებაც მეტად საეჭვოა, თუ მუშაობა ასეთი ტემპებით გაგრძელდა. რაიონის ხელმძღვანელმა მუშაკებმა შექმნილი მდგომარეობიდან სასწრაფოდ უნდა გააკეთონ ყველა საჭირო დასკვნა.

ზ. გიორგაძე



„ზაგოტზერნოს“ ნავთლუღის ბაზის ლაბორანტი მარო კოკიანოვა არკვევს ახალი მოსავლის თესლის ხვედრითს წონას.

ფოტო. რ. აკოფოვისა

ყურადღება გამომგონებლებს

(ზესტაფონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ფეროშენადნობთა ქარხანაში შუშა - გამომგონებელთა რაციონალურ წინადადებებს თვეობით არ იხილავენ. გამომგონებელთა ბიუროს თავმჯდომარე ინჟინერი გ. სიორიძე და ტექუშიშროების განყოფილების უფროსი პ. გვენცაძე საქმეს ცუდად ხელმძღვანელობენ.

ქარხნის სტახანოველი ზეინკალი ხ. მიქაუტაძე 7 ახალი გამოგონების და 2 საქმიანი წინადადების ავტორია. 2 გამოგონებისათვის მიქაუტაძემ ჯილდოდ 605 მან. მიიღო. მისი გამოგონების განხორციელებით წარმოებას 3.960 მანეთის ეკონომია მიეცა. ამის შემდეგ მიქაუტაძემ კიდევ 5 გამოგონება წარუდგინა გამომგონებელთა ბიუროს და 2 საქმიანი წინადადება შეიტანა, მაგრამ პასუხი არც ერთზე არ მიუღია.

ერთერთი გამოგონება შეეხება ელექტროდენის განმეორებით გამოყენებას. ამ წინადადების განხორციელება წლიურად დაახლოებით 30.000 მანეთის ეკონომიას იძლევა, მაგრამ ის დღემდე არავის განუხილავს.

მასვე ეკუთვნის წინადადება ლიმონის ჩამომსხმელ საამქროში ამონაგის გაკეთების შესახებ, რისი განხორციელებაც თავათ მიქაუტაძეს მიანდეს, მაგრამ საჭირო თანხები და მასალები კი არავინ მისცა. ასევე უყურადღებოდ დასტოვეს აპრილში შეტანილი წინადადება კაზმის მექანიკური შერევისა და საცდელ საამქროში ტექნოლოგიური პროცესის დროს სპეციალური ფანჯრის მოწყობის შესახებ.

გამომგონებლებისადმი ასეთი უყურადღებობა დანაშაულს უდრის და მას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

ვ. გოგიაშვილი

სერგეი მესხი

ორმოცდახუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პირველი ყოველდღიური ქართული გაზეთის „დროების“ თავდადებული რედაქტორი სერგეი მესხი.

14 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ს. მესხი გაზეთ „დროებას“ და შეიძლება ითქვას, რომ მან მსხვერპლად შესწირა თავისი სიცოცხლე ამ საქმეს. ეს არც გასაკვირია, რადგან საქართველოს მაშინდელ პირობებში, როდესაც მოღვაწეობა უხდებოდა სერგეი მესხს, ქართული გაზეთის რედაქტორობა არც ისე იოლი საქმე იყო, თხოულობდა გამბედაობას, უნარიანობას, თავდადებას.

ს. მესხის მთელი ცხოვრება, მისი მწერლობა, საზოგადო მოღვაწეობა დაკავშირებულია ამ ერთერთ დიდმნიშვნელოვანი პროგრესიული გაზეთის „დროების“ ისტორიასთან. ამ გაზეთთან დაკავშირებულია მისი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. მუდმივმა გაჭირვებულმა ცხოვრებამ, დაძაბულმა პუბლიცისტურ-რედაქტორულმა მუშაობამ უდროოდ გასტეხა ეს შესანიშნავი ადამიანი.

ს. მესხის დამსახურება იმაშია, რომ მან თავის თავზე აიღო ქართველი ხალხის მძიმე ცხოვრების პერიოდში ისეთი დიდი მოვალეობა, როგორიც იყო გაზეთის რედაქტორობა, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაღვივებლად, პროგრესიულ-დემოკრატიული იდეების გასავრცელებლად.

გაზეთ „დროების“ დაარსება ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში შესულია, როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა. ოთხი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გაზეთ „დროებას“ მისი დამაარსებელი გიორგი წერეთელი, მაგრამ იგი დაიღალა იმ ბრძოლაში, რომელსაც გაზეთის გამოცემა თხოულობდა და გადაამარა ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდა პუბლიცისტს სერგეი მესხს.

„დროების“ გამოსვლა დაკავშირებულია ისეთ დიდ მოვლენასთან, როგორიც იყო ჩვენში ბატონყმობის გაუქმება. ეს იყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს დიდმნიშვნელოვანი პერიოდია ქართულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაშიც; ამ დროს საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდნენ მთელი რიგი პროგრესიულად მოაზროვნე მწერლები. ერთერთი ასეთი ჯგუფი იყო გ. წერეთლის, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის და სხვ. ჯგუფი. ეს ჯგუფი იბრძვის საქართველოს ახალი მომავლისათვის. იგი ესარჩლება გლეხკაცობას, ებრძვის თავადაზნაურობას და თვითმპყრობელობას, იცავს ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინებისა და განთავისუფლების იდეას.

„დროება“ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის გამომხატველი ორგანო იყო. რასაკვირველია, გაზეთის პროგრესიულ მიმართულებას აძლევდნენ მის ირგვლივ შემოკრებილი მწერლები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ს. მესხს ეჭირა, მაგრამ მესხი იყო არა მარტო რედაქტორი, მიმართულების მიმცემი, არამედ ნიჭიერი პუბლიცისტიც, რომლის კალამს აუსახავს არ რჩებოდა ახალი ცხოვრების მოვლენები.

ხალხის პოლიტიკური გაცნობიერების მიზნით ს. მესხმა „დროებაში“ ფართოდ დაუთმო ადგილი დასავლეთ-ევროპის პოლიტიკური ცხოვრების გაშუქებას. ამ გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა ისეთი სტატიები, რომლებიც რადიკალურ აზრებს ავრცელებდნენ.

„დროება“ დიდ ბრძოლას აწარმოებდა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. ოთხონ მესხს არა ერთი და ორი წერილი დაუწერია ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ გლეხკაცობის მდგომარეობის დასაცავად. ს. მესხს შესანიშნავად ესმოდა გლეხთა რეფორმის მატყუარობა, უმიწაწყლოდ დარჩენილი გლეხის მდგომარეობა. ამის გამო იგი პირდაპირ სწერდა. „ბატონისაგან განთავისუფლებული ჩვენებური გლეხი ისევ სრულ დამოკიდებულებაშია იმისგან. უბატონოდ „თავისუფალი“ გლეხი ფეხს ვერ გადასდგამს, სულის-მობრუნება არ შეუძლია“. ს. მესხი გაბედულად ამხელდა რეფორმის კლასობრივ შინაარსს. იგი სწერდა:

„გაჭირვებული გლეხი, რომელსაც მხოლოდ ერთი წყარო აქვს ცხოვრებისათვის—მიწა, ყველაფერზე დათანხმდება, რომ მიწა იშოვოს, დათანხმდება იმ იმედით, რომ „ღმერთი მოწყალეა, როგორც იქნება გადავიხდი ბატონის ღალასაო“, მაგრამ დრო რომ მოაწევს, შეშოდგომა რომ დადგება, ხედავს ერთის მხრით ბატონი მოადგება, მეორე მხრით ხაზინა, მესამე—მევალე ვაჭარი და მეოთხე—მღვდელი,—სრულიად იბნევა და არ იცის რა ქნას“

„დროებისა“ და მისი პუბლიცისტ-რედაქტორისათვის შეუმჩნეველი არ რჩებოდა გლეხთა უკმაყოფილების მოვლენებიც. 1878 წელს ქიზიყში ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს. ს. მესხი გამოეხმაურა ამას და შეეცადა სწორი ანალიზი მიეცა ამ მოვლენისათვის.

ს. მესხი ბევრს სწერდა ქართველი გლეხის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ სწერდა არა როგორც ხალხოსანი, არამედ როგორც რადიკალურად მოაზროვნე მწერალი. ს. მესხს არ სწამდა ხალხოსნების პროგრამა, ეს „ულტრაკონსერვატიული“ სიარული მწერალთან [illegible] ეკუთვნოდა, ს. მესხი აუცილებლად სთვლიდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას, აქედან მოელოდა ქართველი ხალხის ეკონომიურ აღორძინებას. ეს იყო „დროების“ პროგრამა, რომელიც თავის დროზე შესანიშნავად დაახასიათა გ. წერეთელმა თავის სტატიაში „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“.

ს. მესხის მთელი გონება და მისწრაფება იქითკენ იყო მიმართული, რომ აღემაღლებინა ქართველი ხალხის სახელი. მაგრამ მას არასოდეს არ გამოუთქვამს სხვა ერის საწინააღმდეგო მოსაზრებები. პირიქით, იგი ხაზს უსვამდა ამიერ - კავკასიაში მცხოვრებ ერთა სოლიდარობის საჭიროებას.

დიდი სიყვარულით იხსენიებდა ს. მესხი რუს ხალხს, მის მოწინავე მწერლებსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, განსაკუთრებით ნ. ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს. არც შეიძლებოდა, რომ ეს ასე არ ყოფილიყო. ს. მესხი სწავლობდა რუსეთში იმ პერიოდში, როდესაც 60-იანი წლების გამოჩენილი მოღვაწეების ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, გერცენის იდეები დიდ გავლენას ახდენდა მოწინავე ახალგაზრდობაზე. ს. მესხმა სიკვდილამდე შეინარჩუნა მათი გავლენა.

ს. მესხი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ევროპის პროგრესიულ მიმდინარეობებს. „დროება“ იყო ერთადერთი გაზეთი ჩვენში, რომელმაც თავის დროზე ფართოდ გააშუქა პარიზის კომუნის ამბები. „დროებამ“ დაბეჭდა თავის ფურცლებზე მნიშვნელოვანი რევოლუციური დოკუმენტები, მათ შორის „პარიზის დამცველ ქალთა საზოგადოების“ პროკლამაცია. ამ პროკლამაციაში გამოთქმული იყო კომუნარების რევოლუციური ბრძოლის მიზნები: „სოციალური რევოლუციის სახელით, რომელსაც ჩვენ მივემხრეთ იმის გამო, რომ ის გვანიჭებს შრომის უფლებას, თანასწორობას და სამართლიანობას... განა შესაძლებელია თავისუფლებისა და დესპოტობის, ხალხისა და მტაცებლების ერთმანეთში მორიგება?, არა“ და სხვ.

რასაკვირველია, ამ პროკლამაციის დაბეჭდვას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის გაცნობიერებისათვის. მაგრამ აქ აღსანიშნავია ს. მესხის გამბედაობაც. სამართლიანად აღნიშნავდა ჩვენი ლიტერატურის მკვლევარი სიმონ ხუნდაძე თავის შრომაში „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“, „დროების“ მიერ პარიზის კომუნის ამგვარი გაშუქების შესახებ: „ასეთი „თავისუფლებით“ პარიზის კომუნის შეფასებაში არცერთი პრესა არ სარგებლობდა რუსეთის ტერიტორიაზეო“.

რით შეიძლება აიხსნას „დროების“ ასეთი გამბედაობა? რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა მისი რედაქტორის ს. მესხის რადიკალური აზროვნებით. „დროებამ“ ჩვენში პირველად აღნიშნა ინტერნაციონალის არსებობა და მნიშვნელობა. 1871 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „ხალხთა შორის მუშების საზოგადოება“. აშკარაა, ს. მესხი რომ შეზღუდული აზროვნების ადამიანი ყოფილიყო, ის არ დაბეჭდავდა ასეთ წერილს. ამ წერილში დახასიათებული იყო ინტერნაციონალის ისტორიული მიზანი.

დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და რევოლუციური მოძრაობისადმი მისწრაფება იყო უსათაოდ მიზეზი, რომ ს. მესხი რამდენიმე ხნით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა (1873 წ.) და პარიზში ცხოვრობდა. პარიზში ცხოვრებისა და იქ მიღებული შთაბეჭდილებები ს. მესხმა გამოხატა თავის პირად წერილებში, რომლებსაც ის სწერდა თავის ნაცოლს ე. მელიქიშვილს.

სერგეი მესხის აღნიშნული წერილები („ლიტერატურული მემკვიდრეობა“—ს. მესხის წერილები, გვ. 468) დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტებია ს. მესხის მსოფლმხედველობის და აზროვნების დასახასიათებლად. მათში ბევრი საინტერესო და მოწინავე აზრია გამოთქმული მაშინდელი ევროპისა და საქართველოს საკითხებზე.

ამ წერილებში პარიზი დახასიათებულია, როგორც რევოლუციის ბუდე, წერილებში მოხსენიებულია განმათავისუფლებელ-რევოლუციური მოძრაობის ისეთი ბელადების სახელები, როგორიც იყვნენ გარიბალდი, კოშუტი, მაძინი. იგი აყენებს ამ მოღვაწეების ბიოგრაფიების შესწავლისა და ქართველი ხალხისათვის მათ გაცნობის საკითხს.

თავის ერთერთ მიმოხილვაში ილია ჭავჭავაძემ „დროება“ დაახასიათა როგორც ნაღმოსანი გემი, რომელიც ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯაბედულად იკაფავდა გზას. ამ გემის სახელოვანი წამყვანი რამდენიმე წლის განმავლობაში ს. მესხი იყო. დაოდგრომელი მუშაობით ს. მესხი ადრე დაავადმყოფდა, იგი 38 წლის იყო, როცა გარდაიცვალა (1883 წ. ივლისში). ს. მესხის სახელს არ დაივიწყებს ქართველი საბჭოთა ხალხი, როგორც ისეთი პუბლიცისტისას, რომელიც იბრძოდა თავისი ჩაგრული სამშობლოს მომავლისათვის და მას შესწირა თავისი ახალგაზრდობა და მგზნებარე სიცოცხლე.

ალ. სულავა

რამის მაღალი მოსავალი

მიმდინარე წელს საქართველოში აღებულია რამის უხვი მოსავალი. გეგმით პირველი მოჭრით ნავარაუდევი იყო ფოთლებისაგან გაწმენდილი 3.618 ტონა ღეროს მიღება, ფაქტიურად მიღებულია—5.015 ტონა. რამის ყველაზე დიდი მოსავალი აიღეს ვანის, სამტრედიისა და გალის რაიონების კოლმეურნეობებმა (184-დან 201 პროცენტამდე), და აგრეთვე ალაზნის რამის უდიდესმა საბჭოთა მეურნეობამ (გეგმის 178 პროცენტი).

სულ მიმდინარე წელს სამი მოჭრით ნავარაუდევია რამის 12.062 ტონა ღეროს მიღება. ახლა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსავალი გადაამეტებს გეგმით გათვალისწინებულ ნორმებს; უკვე ახლა, პირველი მოჭრის შემდეგ, რამის ღეროს დამზადების წლიური გეგმა 41,6 პროცენტით არის შესრულებული.

○

ყოველწლიურად მატულობს ფართობი ამ ძვირფასი კულტურის, რამის, რომელიც მაღალი ხარისხის მაგარ ბოჭკოს იძლევა ჩვენი მრეწველობისათვის. ამჟამად საქართველოში რამის ნათესების ფართობი, საიდანაც მოსავალს იღებენ, 1.373 ჰექტარს უდრის, თუ არ ჩავთვლით 330 ჰექტარს, სადაც რამი დარგულია მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ამ ფართობიდან პირველ მოსავალს მივიღებთ 1939 წელს.

გ. ურჯუმელაშვილი

გავაუმჯობესოთ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობა

„საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა-ავიაქიმი. საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა არავითარ „შემთხვევითობას“ და ჩვენი გარეშე მტრების არავითარ ოინებს არ შეეხვიდეთ მოუმზადებელი“...

ამხანაგი სტალინის ამ გენიალურ მითითებებში სრული ჭეშმარიტებითაა გამოხატული სსრ კავშირის მილიონობით მშრომელთა გრძნობები, აზრები და ნებისყოფა.

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციებმა სათანადოდ გაშალეს მუშაობა და მთელი რიგი მიღწევებიც მოიპოვეს, მაგრამ ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ მათ ყველაფერი რიგზე აქვთ და თავდაცვითი მუშაობის მზარდ მოთხოვნილებებს მთლიანად აკმაყოფილებენ.

საჰაერო ქიმიური თავდაცვის კადრების მომზადებისა და მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის ჩატარების ორგანიზაცია ჯერ კიდევ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, რის შედეგადაც მათ ვერ უზრუნველჰყვეს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ბიუროს 1938 წლის 21 იანვრის დადგენილების რეალიზაცია 1938 წელში საჰაერო ქიმიური თავდაცვის კადრების მომზადებისა და მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის ჩატარების შესახებ:

„იყავ მზად საჰაერო და ქიმიური თავდაცვისათვის“ 1-ლი საფეხურის ნორმები 121 ათასი კაციდან ჩაბარებული აქვს მხოლოდ 18.737-ს კაცს, ანუ გეგმის 15.4 პროცენტს, 2-ე საფეხურის—2.500 კაციდან — 954-ს, ანუ 38,1 პროცენტს, თვით დაცვის ჯგუფის უფროსების — 225 კაციდან მომზადებულია 97 კაცი, ანუ 42,5 პროცენტი. ჯგუფის პოლიტხელების — 225 კაციდან —80, ანუ 30,5 პროცენტი, თვით დაცვის ჯგუფის რგოლების მეთაურები — 1.125 კაციდან მომზადებულია მხოლოდ 12 კაცი, ანუ 0,01 პროცენტი, თვით დაცვის 165 ჯგუფიდან (რომლიდანაც უნდა გამოშვებული იქნეს 6.600 კაცი) არც ერთი ჯგუფი არ არის მომზადებული. ასევე უნდა ითქვას თავშესაფარებისათვის კომენდანტების მომზადებაზეც. მოსამზადებელ — 223 კომენდანტიდან დღემდე არც ერთი კაცი არ არის მომზადებული.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ მსხვილ წარმოებებსა, დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ. აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიროვის სახელობის დაზგათმშენებლობის ქარხანა, ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკა, კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა, მკერავი ფაბრიკა № 6, ავტომატური ტელეფონების სადგური და სხვ.) საჰაერო ქიმიური თავდაცვის ხაზით მუშაობა ჩაშლილია, მათ 1938 წლის საკონტროლო დავალება არც ერთი პროცენტით არ შეუსრულებიათ.

საჰაერო ქიმიური თავდაცვის კადრების მომზადებისა და მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის ჩატარების საკონტროლო დავალებათა ასეთი შეუსრულებლობა შედეგია იმისა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის და რაიონული საბჭოები ყოველად მოუქნელად მუშაობენ. მათ ვერ შესძლეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების კადრების შემოკრება და სათანადო აქტივის შექმნა.

თავდაცვა-ავიაქიმის საქ. ცენტრალურმა და თბილისის საბჭომ დღემდე ვერ უზრუნველჰყვეს სასწავლო წერტილები და თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები სათანადო სასწავლო პროგრამებით და ლიტერატურით, რის გამო მეტად უხარისხოა მათ მიერ ჩატარებული მუშაობა. სუსტად არის დაყენებული საჰაერო ქიმიური (ორჯონიკიძის, ლენინის, კიროვის სახელობის რაიონები) თავდაცვის სასწავლო პუნქტების მუშაობა, მასობრივი მუშაობა, არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სასწავლო პუნქტებსა, ჯგუფებსა, ჯგუფის რგოლებსა და ინდივიდთა შორის, საჰაერო ქიმიური თავდაცვითი მუშაობას არ აშუქებენ კედლის გაზეთები. ჯგუფებსა და რგოლებს არა აქვთ ლოზუნგები, პლაკატები, რუკები, დიაგრამები და სხვა თვალსაჩინო მასალები.

თავდაცვა-ავიაქიმის ლენინის რაიონის საჰაერო ქიმიური თავდაცვითი მუშაობისათვის შემოსულ თანხებს სხვადასხვა დანიშნულებაზე ხარჯავს (მას დახარჯული აქვს 7000 მანეთი) იმ დროს, როდესაც სასწავლო წერტს არ გაჩენია სათანადო ინვენტარი (მაგიდები, სკამები, სასწავლო ნივთები) და სინათლე.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებს საჰაერო ქიმიური თავდაცვის კადრების მომზადებისა და მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის გაშლა-ჩატარების საქმეში არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის თბილისის და რაიონების შტაბები, არ უზრუნველჰყოფენ სათანადო კადრებით, დღემდე არც კი აქვთ განსაზღვრული თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებთან მუშაობის ფუნქციები, არ გრძნობენ პასუხისმგებლობას 1938 წ. საკონტროლო დავალების შესრულებაში.

არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ და ეხმარებიან რაიონების კომიტეტებიც. მათ ისე აქვთ წარმოდგენილი თითქოს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა და მათზე მიცემულ საკონტროლო დავალების შესრულების უზრუნველყოფა მათ საქმეს არ შეადგენდეს. არ აქცევენ ყურადღებას საჰაერო ქიმიური თავდაცვის კადრების მომზადების და მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის ჩატარებისათვის დაფინანსების საქმეს, სასწავლო პუნქტების შეკეთებას აჭიანურებენ (თბილისის ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონები). ამ გარემოებას რაიონების თავმჯდომარეები ხსნიან სათანადო თანხების „უქონლობით“. ასეთი უპასუხისმგებლო მოტივებით თავის მართლება შეუწყნარებელია. პრეზიდიუმის სხდომებზე არ ისმენენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1903—რსდმპ მეორე ყრილობა—1938



ვ. ი. ლენინი (1901 წ.)

3. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

რსდმპ II ყრილობაზე პროგრამის პროექტის შესახებ კამათის დროს

უწინარეს ყოვლისა, მე მინდა აღვნიშნო, რომ ამხ. ლიბერმა დაუშვა უაღრესად დამახასიათებელი აღრევა თავადაზნაურობის წინამძღოლისა მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ფენასთან. ეს აღრევა ღირსშესანიშნავია მთელ კამათში. ყველგან ურევენ ჩვენი პოლემიკის ცალკეულ ეპიზოდებს პრინციპული ბაზისების დადგენასთან. არ შეიძლება უარვყოთ, როგორც ამხ. ლიბერი სჩადის, რომ შესაძლებელია მშრომელი და ექსპლოატირებული **ფენიხ** (ამა თუ იმ ფენის) გადასვლა პროლეტარიატის მხარეზე. გაიხსენეთ, რომ 1852 წელს მარქსი, მხედველობაში ჰქონდა რა მას ფრანგი გლეხების აჯანყებანი, სწერდა („18 ბრიუმერში"), რომ გლეხობა გამოდის ხან წარსულის წარმომადგენლად, ხან მომავლის წარმომადგენლად: გლეხს შეიძლება მივმართოთ ისე, რომ მხედველობაში გვქონდეს არა მარტო მისი ცრუშეხედულება, არამედ მისი გონებაცო. გაიხსენეთ შემდეგ, რომ მარქსს სავსებით სწორად მიაჩნდა კომუნართა მტკიცება, რომ კომუნის საქმე აგრეთვე გლეხობის საქმეცაა. ვიმეორებ, არ შეიძლება ეჭვი გვეპარებოდეს იმაში, რომ, განსაზღვრულ პირობებში, მშრომელთა ამა თუ იმ ფენის გადასვლა პროლეტარიატის მხარეზე სრულებითაც არ არის შეუძლებელი. მთელი საქმე იმაშია, რომ ზუსტად განვსაზღვროთ ეს პირობები. და სიტყვებში „გადადიან პროლეტარიატის თვალსაზრისზე" ის პირობა, რომელზეც ლაპარაკია, გამოხატულია სრული სიზუსტით. სწორედ ეს სიტყვები უაღრესად გადაჭრით გვმიჯნავენ ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, საერთოდ ყოველნაირ, ვითომდა სოციალისტურ მიმდინარეობათაგან და განსაკუთრებით ეგრეთწოდებულ სოციალისტ-რევოლუციონერთაგან.

გადავდიავარ ჩემი ბროშურის „რა ვაკეთოთ?" იმ სადავო ადგილზე, რომელმაც აქ ამდენი გაგება-განმარტება გამოიწვია. მგონია, ყველა ამ განმარტების შემდეგ, საკითხი უკვე იმდენად გაირკვა, რომ მეცოტაღა დამრჩა დასამატებელი. როგორც სჩანს, აქ ერთმანეთში ურევდნენ დიდი თეორიული საკითხის პრინციპულ მიზანდასახულობას (იდეოლოგიის გამომუშავება) და ეკონომიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ ეპიზოდს. და ამასთან ამ ეპიზოდს სრულიად არასწორად გადმოსცემდნენ.

ამ უკანასკნელი დებულების დასამტკიცებლად, მე შემიძლია უწინარეს ყოვლისა დავიმოწმო ამხანაგები აკიმოვი და მარტინოვი, რომლებმაც აქ ილაპარაკეს. მათ თვალნათლივ დაგვანახვეს, რომ აქ ლაპარაკია სწორედ ეკონომიზმთან ბრძოლის ეპიზოდზე. ისინი გამოვიდნენ ისეთი შეხედულებებით, რომლებსაც უკვე უწოდეს (და სამართლიანადაც უწოდეს) ოპორტუნიზმი. ისინი იქამდეც მივიდნენ, რომ „უარჰყოფდნენ" გაღატაკების თეორიას და „სადაოდ ხდიდნენ" პროლეტარიატის დიქტატურას, „Erfülungstheorie"-ამდეც კი მივიდნენ, როგორც ამხ. აკიმოვმა გამოსთქვა. მართალი მოგახსენოთ, მე არ ვიცი, რას ნიშნავს ეს. ხომ არ უნდოდა ამხ. აკიმოვს ეთქვა „Anshöhlüngstheorie"-ზე კაპიტალიზმის „დაცლის თეორიაზე", ე. ი. ბერნშტეინის თეორიის ერთერთ ყველაზე პოპულარულ მოარულ იდეაზე. ამხ. აკიმოვი ეკონომიზმის ძველი ბაზისების დასაცავად ისეთი, წარმოუდგენლად ორიგინალური, საბუთითაც კი გამოვიდა, რომ ჩვენს პროგრამაში სიტყვა პროლეტარიატი არცერთხელ არ დგას სახელობითს ბრუნვაშიო. ყველაზე მეტი,—გაიძახოდა ამხ. აკიმოვი—ის არის, რომ პროლეტარიატი მათ ნათესაობითს ბრუნვაში უდგათო. ამრიგად, თურმე ნუ იტყვით, სახელობითი ბრუნვა ყველაზე საპატიო ყოფილა, ნათესაობითი კი მეორე ადგილზე მდგარა საპატიოობის თვალსაზრისით...

რაც შეეხება პირდაპირ მითითებებს ჩემს ბროშურაზე „რა ვაკეთოთ?", ჩემთვის სრულებით არ არის ძნელი დავამტკიცო, რომ ეს მითითებანი ამოგლეჯილია საერთო დალაგებიდან. ამბობენ, ლენინი არავითარ წინააღმდეგმომქმედ ტენდენციებს არ იხსენიებს, არამედ აბსოლუტურად ამტკიცებს, რომ მუშათა მოძრაობა ყოველთვის **„ბიდის"** ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამორჩილებისაკენო. ნუთუ მართლა? ხომ არა მაქვს მე ნათქვამი, რომ მუშათა მოძრაობის ჩათრევა ბურჟუაზიულობისაკენ ხდება **შულცე-დელიჩებისა და მათ მსგავსთა კეთილგანწყობილი დახმარებით?** და ვინ იგულისხმება აქ „მსგავსებში"? სხვა არავინ, თუ არა ეკონომისტები. სხვა არავინ, თუ არა ის ადამიანები, რომლებიც, მაგალითად, ლაპარაკობდნენ მაშინ, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთში ფაქტიაო. ახლა ადვილია ასე იაფფასიანი ლაპარაკი ბურჟუაზიულ რადიკალიზმსა და ლიბერალიზმზე, როდესაც მათს ნიმუშებს ყველა თავის თვალისწინ ხედავს. მაგრამ განა ასე იყო წინათ?

ლენინი სრულებით არ იღებს მხედველობაში, რომ მუშები მონაწილეობენ იდეოლოგიის გამომუშავებაშიო. ნუთუ მართლა? განა ნათქვამი არა მაქვს მე ბევრჯერ და ბევრჯერ, რომ ჩვენი მოძრაობის სწორედ უდიდეს ნაკლს წარმოადგენს სავსებით შეგნებულ მუშათა, მუშა-ხელმძღვანელთა, მუშა-რევოლუციონერთა ნაკლებობა? განა იქ ნათქვამი არ არის, რომ ასეთი მუშა-რევოლუციონერების გამომუშავება ჩვენი მორიგი ამოცანა უნდა გახდეს? განა მითითებული არ არის იქ პროფესიული მოძრაობის გაწვითარებისა და სპეციალური პროფესიული ლიტერატურის შექმნის მნიშვნელობა? განა იქ გააფთრებული ბრძოლა არ სწარმოებს ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ—დასწორონ მოწინავე მუშების დონე მასის დონემდე ან საშუალოთა დონემდე?

დავამთავრებ. ყველამ ვიცით ახლა, რომ ეკონომისტებმა ჯოხი ერთ მხარეზე გადაღუნეს. ჯოხის გასასწორებლად საჭირო იყო ჯოხის მეორე მხარეზე გაღუნვა, და მე ასეც მოვიქეცი. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია ყოველთვის ენერგიით გაასწორებს ჯოხს, რომელსაც ყოველნაირი ოპორტუნისტები გაღუნავენ, და რომ ამიტომ ჩვენი ჯოხი ყოველთვის იქნება ყველაზე სწორი და ყველაზე გამოსადეგი მოქმედებისათვის.

(ამოღებულია „რსდმპ მეორე ყრილობის ოქმები"-დან).

რსდმპ II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

პარტიული ლიტერატურის შესახებ

ილებს რა მხედველობაში:

ა) რომ მუშათა მოძრაობის ფართოდ განვითარება უნდა შეესაბამებოდეს მუშათა მასების მიერ სოციალ-დემოკრატიის ახლობელი და საბოლოო მიზნების რაც შეიძლება უფრო ნათლად შეგნებას:

ბ) რომ ამ მომენტში პარტიის არსებით ამოცანას შეადგენს მტკიცე, საღი ლიტერატურის შექმნა, რაც ხელმისაწვდენი იქნებოდა მკითხველთა რაც შეიძლება ფართო მასებისათვის, და ანგარიშს უწევს რა პარტიულ ძალთა მდგომარეობას მოცემულ დროში,—

ყრილობას მიაჩნია აუცილებლად:

1) რომ პარტიის ც. ო. რაც შეიძლება მეტ ადგილს უთმობდეს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს ისეთ ფორმაში, რომელიც უფრო გასაგები იქნებოდა მკითხველთა ფართო მასებისათვის და შესაძლებლობის ფარგლებში თავიდან იქნებოდა აცილებული წმინდა თეორიული ხასიათის წერილების მოთავსება;

2) რომ ამიტომ, და იმ მიზნით, რათა უფრო სისტემატურად იქნას გამორკვეული სოციალისტური თეორიის საკითხები „ზარია" გადაქცეულ იქნას პარტიის ორგანოდ, მასთან, ამ ორგანოს გამოცემის პირობების შესახებ ყრილობა ანდობს ც. კ-ს შეუთანხმდეს ცენტრალურ ორგანოს რედაქციას;

3) რომ შეიქმნას ფართო საბროშურო ლიტერატურა, რომელიც მიზნად დაისახავდა სისტემატურ პოპულარიზაციას პარტიული პროგრამისა და ყრილობის რეზოლუციებისა ტაქტიკის საკითხებზე.

ყრილობა ანდობს პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებს იზრუნონ ყველა საჭირო ზომების მისაღებად ამ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ᲠᲡᲓᲛᲞ II ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ

პროფესიული ბრძოლის შესახებ

ილებს რა მხედველობაში:

ა) რომ მუშების პროფესიული ბრძოლა აუცილებელი შედეგია პროლეტარიატის მდგომარეობისა კაპიტალისტურ საზოგადოებაში;

ბ) რომ მუშების ეს ბრძოლა არის ერთი მთავარი საშუალებათაგანი წინააღმდეგობისა კაპიტალისტური წყობილების ტენდენციისადმი მუშათა სასიცოცხლო დონის შემცირებისაკენ;

გ) რომ ამ ბრძოლას, რამდენადაც ის ვითარდება პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის გარეშე, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ხელმძღვანელობს, მივყევართ პროლეტარული ძალების დაქსაქსვისაკენ და იწვევს მუშათა მოძრაობის დამორჩილებას შეძლებულ კლასების ინტერესებისათვის,—

ყრილობა აღიარებს, რომ რსდმპ ამოცანას შეადგენს პროფესიული მოძრაობის სფეროში ხელმძღვანელობა გაუწიოს მუშათა ყოველდღიურ ბრძოლას შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და აწარმოოს აგიტაცია ყველა იმ დაბრკოლებათა დასაძლევად, რაც პროფესიულ მოძრაობას წინ ეღობება რუსეთის თვითმპყრობელობის კანონმდებლობით, ერთი სიტყვით გააერთიანოს მუშების ცალკეულ ჯგუფთა ნაწილობრივი შეტაკებანი კლასის ერთ ორგანიზებულ ბრძოლად.

მასთან ერთად, რადგანაც სულ უფრო და უფრო ირკვევა მეფის მთავრობის მისწრაფება, რომ „მუშათა მოძრაობის ლეგალიზაციის" ფირმის ქვეშ თავის ხელში ჩაიგდოს მუშათა კლასის ეკონომიური ბრძოლა და გარყვნას ის პოლიტიკურად, გახადოს იგი თავისი პოლიტიკის სათამაშოდ; რადგანაც ეს, ეგრეთწოდებული „ზუბატოვის პოლიტიკა", გარდა იმისა, რომ მას საფუძვლად უდევს რეაქციულ-პოლიტიკური სარჩული და მისი გატარების პოლიციურ - პროვოკატორული მეთოდები, არის მუშათა კლასის ინტერესების სისტემატური გამცემლობის პოლიტიკა კაპიტალისტების სასარგებლოდ,—

ყრილობა ურჩევს ყველა ამხანაგებს განაგრძონ დაუღალავი ბრძოლა ყოველგვარი სახის ზუბატოვშჩინის წინააღმდეგ, გამოააშკარაონ მუშების წინაშე ზუბატოვის დემაგოგების ტაქტიკის გამცემლური და ანგარებით მოსილი ხასიათი და მოუწოდებს მუშებს გაერთიანდნენ ერთ კლასობრივ მოძრაობაში პროლეტარიატის პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამ ამოცანის გულისთვის ყრილობას სასურველად მიაჩნია, რათა პარტიული ორგანიზაციები მხარს უჭერდნენ და ხელმძღვანელობდნენ იმ გაფიცვებს, რომლებიც გამოწვეულია მუშათა ლეგალური ორგანიზაციების მიერ და იმავე დროს სარგებლობდნენ ამ შეტაკებებით, რათა გამოააშკარაონ თვითმპყრობელობასთან მუშების კავშირის რეაქციული ხასიათი.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚ „ᲘᲡᲙᲠᲘᲚᲗᲐ" ᲯᲒᲣᲤᲘ.

Ი. ᲚᲔᲕᲘᲜᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ოცდათხუთმეტი წლის წინათ რსდმპ II ყრილობაზე პირველად მიღებულ იქნა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის პროგრამა. ამ პროგრამით ხელმძღვანელობდა ჩვენი პარტია, მიჰყავდა რა მუშათა კლასი რევოლუციის გზით. და მხოლოდ VIII ყრილობაზე, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მიღებულ იქნა ბოლშევიკთა პარტიის ახალი პროგრამა.

O

პროგრამის პირველი პროექტი შემუშავა „შრომის განთავისუფლების" მარქსისტულმა ჯგუფმა 1887 წელს. ამ პროგრამის მთავარი მიზანი იყო დაეპირდაპირებინა ნაროდნიკობისათვის მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობაზე. ამ პროექტის ნაკლოვანებანი მდგომარეობდნენ იმაში, რომ იგი მოწყვეტილი იყო იმ დროს რუსეთში არსებულ კონკრეტულ ვითარებას. მთელ პროექტს ღაღი დასვა იმან, რომ მისი შედგენის მომენტისათვის რუსეთში ჯერ კიდევ არ იყო მუშათა მასობრივი მოძრაობა.

1896 წელს დაიწყო მზადება რსდმპ I ყრილობისათვის. ლენინი მაშინ პეტერბურგის საპყრობილეში — „წინასწარ" პატიმრობის სახლში" იჯდა და ფიქრობდა იმაზე, რომ დადგა დრო მოგვეცა სხვა ტიპის პარტიული პროგრამა—პოპულარული, ყოველი მოწინავე მუშისათვის გასაგები, რევოლუციური მოქმედების კონკრეტული გეგმა და იმ დროს, როდესაც პეტერბურგში ფეიქართა ოცდაათიათასიანი გაფიცვის ტალღა ბობოქრობდა. ლენინი თავის საკანში რომელიღაც წიგნის სტრიქონებსშუა რძით სწერდა და გარეთ ჰგზავნიდა პარტიის პროგრამის დალაგების პროექტს, მის განმარტებითს ბარათს.

ეკონომისტების საწინააღმდეგოდ, ბოლშევიზმის ფუძემდებელნი — ლენინი და სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროგრამის დამრაზმავ როლს.

ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობამდე ლენინი და სტალინი პრაქტიკაში აგურის აგურზე თანდათანობით წყობით, აგებდნენ ახალი ტიპის პარტიის შენობას, მებრძოლი, საკმაოდ კონსპირატიული პარტიის, თანმიმდევრული რევოლუციური პროგრამით, მოწინავე თეორიით შეიარაღებული პარტიის შენობას.

ბრძოლა ახალი ტიპის პარტიის შექმნისათვის კონცენტრირებული იყო ლენინური „ისკრის" გარშემო. საერთო-რუსულმა რევოლუციურმა გაზეთმა მეშმარიტად ისტორიული როლი ითამაშა ჩვენი პარტიის საპროგრამო, ტაქტიკური და ორგანიზაციული პრინციპების გამომუშავებაში; მეტიც, იგი თავისი აგენტების საშუალებით „ისკრის" ბაზაზე უკვე რაზმავდა ადგილებზე რევოლუციურ მუშებს.

ძველი „ისკრა" (1900-1903 წწ.), რომლის სული და გული ვ. ი. ლენინი იყო, ანხორციელებდა ახალი ტიპის პარტიის მშენებლობის ლენინურ გეგმას. „ისკრა" თანმიმდევრულად იცავდა პროლეტარიატის რევოლუციურ ერთიანობას. გაუწყვეტლივ აწარმოებდა ბრძოლებს რუსულ და საერთაშორისო ოპორტუნიზმთან, მუშათა კლასის მტრებთან — ნაროდნიკებთან, ესერებთან, ეგრეთწოდებულ ეკონომისტებთან.

რევოლუციური მარქსიზმის პრინციპებისათვის ლრმა იდეურმა და ძამაცმა ბრძოლამ მჭიდროდ დააზიმა ლენინური „ისკრის" გარშემო მუშათა კლასის საუკეთესო ფენები. „ისკრამ", მისმა აგენტებმა, რომლებმაც რუსეთში ისკრული ორგანიზაციის ბირთვი შეჰქმნეს, მიიზიდეს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უმრავლესობა (პეტერბურგი, მოსკოვი, ოდესა, სარატოვი, სამარა და სხვ.). მებრძოლი ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები ჩამოყალიბდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. ამ ორგანიზაციების ფუძემდებელი იყო ამხანაგი სტალინი, რომელიც თავის თანამებრძოლებთან—ამხ. ჯორნატოვსკისთან, წულუკიძისთან, ჟიცხოველთან ერთად აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას ოპორტუნისტების წინააღმდეგ მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის შექმნისათვის.

ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გახდნენ ის საძირკველი, გრანიტის ფუძე, რომელზეც გაიზარდა ახალი ტიპის პარტია — მუშათა კლასის მოწინავე, ორგანიზებული რაზმი.

საჭირო იყო ამ რაზმის შეიარაღება ნათელი მიზნით, კომუნიზმისათვის ბრძოლის მკაფიო პროგრამით. ეს პროგრამა, „ისკრის" მიერ გამომუშავებული, მიღებულ იქნა II ყრილობის მიერ.

„ისკრამ" პროგრამის განხილვა ჯერ კიდევ 1902 წელს დაიწყო, გადამწყვეტი დავა გაჩაღდა პლეხანოვსა და ლენინს შორის. პლეხანოვმა ბევრი რამ გააკეთა რუსეთში მარქსიზმის პროპაგანდის საქმეში, მარქსიზმის დამახინჯებებთან ბრძოლაში. მაგრამ პარტიის II ყრილობის პერიოდისათვის პლეხანოვი უკვე ოც წელიწადს საზღვარგარეთ ცხოვრობდა და მოწყვეტილი იყო რუსეთის მუშათა კლასის ცხოვრებასა და ბრძოლას.

ლენინი, რომელიც მარქსიზმის ჩრწყინვალე თეორეტიკოსი იყო, ამავე დროს ათასეული ძაფებით დაკავშირებული იყო რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან, იგი ამ მოძრაობის გონებასა და გულს წარმოადგენდა. ამიტომ ლენინი აქთარახებდა პლეხანოვის პროექტის არსებითს, პრინციპულ ნაკლოვანებებს, და ხაზგასმით აღნიშნავდა მის აბსტრაქტულობას, აკადემიურობას.

პროგრამის მეორე პლეხანოვისეულ პროექტში არაფერი არ იყო ნათქვამი პროლეტარიატის დიქტატურაზე. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა პროლეტარიატის წამყვან როლს, პროლეტარული დიქტატურის მოთხოვნის აუცილებლობას, დაჟინებით მოითხოვდა გლეხის ორმაგი როლის დახასიათებას. იგი მოითხოვდა პროგრამის შეხამებას სწორედ რუსეთის კაპიტალიზმის ბრძოლის ამოცანებთან და გესლიანად დასცინოდა პლეხანოვის პროგრამის მთელ ტიპს, მთელ დალაგებას.

მიუხედავად პლეხანოვის წინააღმდეგობისა, ლენინის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი შესწორებები მიღებულ იქნა და შევიდა ეგრეთწოდებულ საკომისიო პროექტში. ამრიგად, რსდმპ II ყრილობის განსახილველად წარდგენილი პროგრამა თვალსაჩინოდ გაუმჯობესებული იყო. ლენინის შესწორებებით იგი საუკეთესო იყო საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ყველა პროგრამებს შორის. პროგრამაში მკაფიოდ იყო ლაპარაკი სოციალიზმის საბოლოო მიზანზე, რომლის განხორციელება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით შეიძლება. პროგრამა თანმიმდევრულად განაგრძობდა მარქსისა და ენგელსის ხაზს და იძლეოდა „სოციალიზმის რევოლუციური **საბოლოო მიზნის** ზუსტ, ნათელ, განუხრელად მტკიცე ფორმულირებას, მიზნისა, რომლის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით..."[1]).

II ყრილობისათვის წარდგენილი აგრარული პროგრამის ავტორი იყო ლენინი. იგი მოითხოვდა — უსასყიდლოდ დაჰბრუნებოდა გლეხებს მიწის ჩამონაპრები, რომლებიც წარმოადგენდნენ მემამულეების მიერ გლეხების დამონების საშუალებას და ძალაში სტოვებდნენ ბატონყმობის ნაშთებს. ჩამონაჭრების დაბრუნებას ხელი უნდა შეეწყო სოფლად კლასობრივი ბრძოლის განვითარებისათვის. მაგრამ ჩამონაჭრები მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო მიწის ნაციონალიზაციის გზაზე.

უკვე მაშინ ლენინს მიაჩნდა, რომ რევოლუციის განვითარების განსაზღვრულ პირობებში შესაძლებელი იქნება დაისვას მემამულეთა მიწის კონფისკაციისა და მთელი მიწის ნაციონალიზაციის საკითხი. პლეხანოვმა, მარტოვმა, აქსელროდმა — მენშევიზმის მომავალმა ბელადებმა, გაილაშქრეს ლენინის დებულებათა წინააღმდეგ. ლენინის საწინააღმდეგოდ, პლეხანოვი მხარს უჭერდა ჩამონაჭრების ნაწილის გამოსყიდვას.

ამრიგად, უმნიშვნელოვანეს საპროგრამო საკითხებზე (პროლეტარიატის დიქტატურა, კაპიტალიზმის დახასიათება, აგრარული საკითხი, გლეხობისადმი დამოკიდებულება, ლიბერალური ბურჟუაზიისადმი დამოკიდებულება და სხვ.) ლენინი პრინციპულ ბრძოლას აწარმოებდა „ისკრის" რედაქციაში.

ბრძოლა გააფთრებული ძალთა გაჩაღდა რსდმპ II ყრილობაზე. ეს იყო ლენინისა და ლენინელთა პრინციპული ბრძოლა ახალი ტიპის პროლეტარული პარტიისათვის ოპორტუნისტთა ბლოკის წინააღმდეგ.

უკვე პროგრამის განხილვისას თავი იჩინა უთანხმოებამ. ანტიისკრელთა ლიდერები აკიმოვი და მარტინოვი აკრიტიკებდნენ პროგრამას, რომელშიაც ხედავდნენ პრინციპულ განსხვავებას II ინტერნაციონალის არსებული პროგრამებისაგან. აკიმოვმა პირდაპირ გაილაშქრა პროგრამის იმ დებულების წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა პროლეტარიატის დიქტატურას, როგორც სოციალისტური რევოლუციის აუცილებელ პირობას. პარტიის ორგანიზაციის ლენინურ გეგმას მარტინოვმა „შეთქმულებითი" უწოდა. პროლეტარიატის დიქტატურის იდეის წინააღმდეგ ყრილობაზე გაილაშქრა იუდა ტროცკიმ — მუშათა კლასის ამ დაუძინებელმა მტერმა.

ლენინმა გაანადგურა პროლეტარული პროგრამის მოწინააღმდეგენი.

ლენინმა დაასაბუთა და დაიცვა პროლეტარული პროგრამა ნაციონალურ საკითხში (ერთა თვითგამორკვევის უფლება, რუსეთის ყველა ხალხთა პროლეტარიატის ორგანიზაციის ერთიანობა), იბრძოდა რა ამასთან ბუნდის ნაციონალისტური პოზიციის წინააღმდეგ და პოლონელი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც ნაციონალური საკითხის შეუფასებლობას იჩენდნენ.

მაგრამ პროგრამისათვის ერთსულოვნად ხმის მიცემა ფარავდა ორი არსებითად სხვადასხვა პარტიის პრინციპულად სხვადასხვა დამოკიდებულებას მისდამი. ლენინს პარტიული პროგრამა მიაჩნდა „მის მიერ რუსეთის კაპიტალიზმისათვის ომის გამოცხადებად"[2]). მარტოვის მოკავშირენი — მომავალი მენშევიკები პირდაპირ აცხადებდნენ: „ჩვენ ჩვენს პროგრამას კონსტიტუციის შემთხვევისათვის ვწერთო". მაშასადამე, მათ პროგრამა მიაჩნდათ ერთგვარ პლატფორმად ბურჟუაზიასთან შეთანხმებისათვის.

პირველსავე უმწვავეს საკითხზე, რომელიც პარტიის ბედიღბალს სწყვეტდა, მენშევიკებმა დაგვანახვეს თავისი ანტიპროლეტარული, ხალხის საწინააღმდეგო რაობა. ძირითადი გამოჯვნა მოხდა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტისას. ლენინისა და მარტოვის ცნობილი დავა წესდების პირველი პარაგრაფის შესახებ გადამწყვეტი ტვირთი იყო ახალი ტიპის პარტიის, II ინტერნაციონალის რეფორმისტული პარტიებისაგან პრინციპულად განსხვავებული პარტიის შექმნაში. ლენინი იბრძოდა რევოლუციონერთა ბრძოლისუნარიანი პარტიისათვის, რომელიც მზად უნდა ყოფილიყო ებრძოლნა პროლეტარიატის დიქტატურისათვის. მარტოვი, იუდა-ტროცკი და მათი დამქაშები წინადადებას იძლეოდნენ შეგვექმნა ისეთი პარტია, რომელსაც ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტის უნარი არ ექნებოდა.

მენშევიკები პარტიის კარს უღებდნენ ყოველგვარ ბურჟუაზიულ ბრბოს, ამცირებდნენ პარტიელის მაღალ სახელწოდებას. ლენინი ამტკიცებდა, რომ არ კმარა მარტო პარტიის პროგრამის აღიარება და მატერიალური ხელშეწყობა; აუცილებელია მედიოდე რომელიმე პარტიულ ორგანიზაციაში და აქტიურად მუშაობდე მასშიო. ეს იყო ორმა — პოლიტიკური, პრინციპული უთანხმოებანი.

ისტორიამ დაგვანახვა, რომ მართალი აღმოჩნდა ლენინი, ხოლო მენშევიკები გაცამტვერებული აღმოჩნდნენ მუშათა კლასის მიერ. ბოლშევიკი — სიტყვა, რომელიც იშვა რსდმპ II ყრილობის ისტორიულ ბრძოლებში, მსოფლიოს ყველა ენაზე წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციონერის შეურიგებლობის, პრინციპულობის, თანმიმდევრობის სიმბოლოს.

ლენინის გამოსვლები ლახვარი იყო საერთაშორისო ოპორტუნიზმისათვის. აი რატომ იყო, რომ ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ გაერთიანდა მთელი ლაქიური ხროვა II ინტერნაციონალიდან.

მაგრამ არაფერს არ შეეძლო შეერყია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი ძალა. ლენინიზმმა გაიმარჯვა. ლენინიზმის იდეები ჰფლობს მილიონობით მშრომელთა გონებას მთელ მსოფლიოში. და ეს იმიტომ არის, რომ ბოლშევიკთა ბრძოლა თავისი პროგრამისათვის, თავისი ხაზისათვის იყო პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა ლენინიზმისათვის, მუშათა კლასის საქმისათვის.

„პრინციპები იმარჯვებენ და არა „რიგდებიან", — სწერდა ამხანაგი სტალინი[3]). ეს ლენინურ-სტალინური დებულება იყო და რჩება ბოლშევიზმის ხელმძღვანელ დებულებად ამ ბრძოლაში მტრების წინააღმდეგ.

ბოლშევიკური პარტიის მთელი ოქტომბრისწინა და ოქტომბრისშემდგომი ისტორია თვალნათლივ გვიჩვენებს ამას. ისტორიის ყველა კვეთრი მობრუნებისას მტრები ილაშქრებდნენ ლენინიზმის საპროგრამო პრინციპულ მიზანდასახულობათა წინააღმდეგ. საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის, უმძიმეს ვითარებაში 1919 წლის გაზაფხულზე პარტიის VIII ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა. ეს არის პროლეტარული პარტიის პირველი პროგრამა, სადაც ძირითადი საკითხს წარმოადგენს განმტკიცება პროლეტარიატის დიქტატურისა, რომელიც მოპოვებულ იქნა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მიერ. ეს პროგრამა მიღებულ იქნა მუშათა კლასის საზეზაარი მტრების — ბუხარინისა და პიატაკოვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საზეზაარი ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები, რიკოველები, რომლებიც ფაშისტური ჯაშუშობისა და მავნებლობის წუმპეში ჩაეშვნენ, შემდეგშიაც არაერთხელ ცდილობდნენ იერიში მიეტანათ პარტიის ძირითად საპროგრამო დებულებებზე, ჩაეშალნათ სოციალიზმის მშენებლობის დიად საშუაოთა პროგრამის გატარება.

მაგრამ პარტიამ ყველა ეს ცდა გააკამტვერა.

ისტორიამ დაგვანახა, რომ ჯაშუშობის, დივერსიისა და ფაშიზმის ჭაობში ჩაფლული დაუძინებელი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ.

ლენინის საქმის უგენიალურესი განმგრძობის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ლენინიზმი გაიუყოფლად ბატონობს ჩვენს ქვეყანაში. ამხანაგმა სტალინმა მტრებთან ბრძოლაში დაიცვა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური თეორია, გენიალურად განავითარა და დაამუშავა იგი, უშუალოდ ხელმძღვანელობს რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების დიადი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას. სოციალისტური სამშობლოს ხალხებს სტალინური კონსტიტუცია მიაქვთ, როგორც გამარჯვებული სოციალიზმის დროშა.

ბოლშევიკური პარტიის პროგრამა ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხები უნდა ვიისწრაფოდნენ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ, სრული კომუნიზმის აშენებისაკენ. სტალინურმა კონსტიტუციამ აღნიშნა ის ფაქტიური მდგომარეობა, რომ ჩვენს ქვეყანაში ძირითადად განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა. სწორედ ეს არის იმის თავდები, რომ ჩვენი გამარჯვება საბოლოო იქნება, ვინაიდან პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ორი ძალა — ხალხი და კომუნიზმი ჩვენში ერთ მთლიანობად შეიდუღდა.

კომუნიზმი—ბოლშევიზმის პროგრამის ძირითადი მოთხოვნა — მთელი საბჭოთა ხალხის მოთხოვნა გახდა.

[1]) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი XV, გვ. 201. რუს.

[2]) ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტომი V, გვ. 35. რუს.

[3]) ი. სტალინი. მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიური საკითხი. პოლიტლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა 1938 წ. გვ. 45. ქართ. 1934 წ. გამოც. გვ. 63.

მთავრობის კოალიციის პარტიათა ხელმძღვანელების კონფერენცია

პრაღა, 2 აგვისტო (საკდესი). გუშინ შესდგა მთავრობის კოალიციის პარტიათა ხელმძღვანელების კონფერენცია.

კონფერენციამ მოისმინა პრეზიდიუმ-მინისტრ გოჯას დაწვრილებითი მოხსენება შინაპოლიტიკური მდგომარეობისა და „ეროვნებათა კოდექსის“ შესახებ, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრ კროფტას ინფორმაცია ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ურჩევს მთავრობას ეცადოს შეთანხმებას მიაღწიოს სუდეტელ გერმანელთა პარტიასთან, მაგრამ პირველ რიგში მხედველობაში იქონიოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენობისა და მთლიანობის ინტერესები.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისელი „მრჩეველი“ რენსიმენი 3 აგვისტოს ჩამოდის პრაღაში. 4 აგვისტოს მას მიიღებენ პრეზიდენტი ბენეში და პრემიერ-მინისტრი გოჯა. 5 აგვისტოს დაიწყება მინისტრთა კაბინეტის სხდომები სუდეტელ გერმანელთა პარტიის დელეგაციასთან ერთად.

5-6 აგვისტოს ლორდი რენსიმენი შეხვდება ჰენლაინსა და კუნდტს (სუდეტელ გერმანელთა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე).

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის მიერ პარიზიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს 1 აგვისტოს ოფიციალური ნაკრები ცნობების თანახმად, რესპუბლიკელთა ჯარებმა გასტეხეს მეამბოხეთა და ინტერვენტთა წინააღმდეგობა, დაიკავეს პოებლა დე მასალუკას სასოფლო (10 კილომეტრის მანძილზე ფაიონის ჩრდილოეთით) და გასცილდნენ ამ სოფელს. ინტერვენტთა ჯარებმა 31 ივლისს 8 გააფთრებული იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა პოზიციებზე, რომლებიც რეის წვეროს აკრავს. ეს იერიშები მოგერიებულ იქნა, ფაშისტები დიდად დაზარალდნენ. 1 აგვისტოს ბრძოლა გრძელდებოდა, ამასთან ინიციატივა რესპუბლიკელთა ხელში იყო; ისინი წინ მიიწევდნენ ფაიონის ჩრდილოეთით. მოგერიებულია ფაშისტთა შეუპოვარი კონტრიერიშები მაკინენსის სამხრეთით. ინტერვენტთა ავიაცია განაგრძობს გზებისა და სოფლების ბომბარდირებას ებროს ქვემო დინების ზონაში. რესპუბლიკელთა ავიაციამ მთელი რიგი წარმატებითი რეიდი მოახდინა განდესის სექტორში.

ლევანტის ფრონტი

რესპუბლიკელთა ჯარებმა მოიგერიეს ფაშისტთა ორი თავდასხმა ლა მალიასტასთან ონდის სექტორში. ფრონტის სხვა სექტორებში უმნიშვნელო ოპერაციები სწარმოებს.

ცენტრალური ფრონტი

ესპანის სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელთა ჯარებმა, რომლებიც ცენტრის არმიაში შედიან და ალბარასინის მთიან მასივის რაიონში მოქმედებენ, 1 აგვისტოს დაიკავეს მნიშვნელოვანი პუნქტები — გრეეგო, პორტელიო დე გვადალავიარი და ფრიასი (40-50 კილომეტრზე ტერუელის დასავლეთით).

სამხრეთის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

რენსიმენი პრაღას გაემგზავრა

ლონდონი, 2 აგვისტო (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ დღეს ლორდი რენსიმენი ლონდონიდან მატარებლით პრაღას გაემგზავრა. იმავე დღეს დილით თვითმფრინავით გაფრინდა პრაღას ლორდ რენსიმენის ექსპერტთა ჯგუფი.

დეზერტირობა პოლონეთის არმიიდან

პრაღა, 2 აგვისტო (საკდესი). ამ დღეებში ქალაქ ტეშინის მახლობლად ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გადავიდა სამი პოლონელი ჯარისკაცი, რომელნიც ჩეხოსლოვაკიის მესაზღვრე რაზმმა დააკავა. დაკითხვისას ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ისინი არმიიდან გამოიქცნენ, ვინაიდან ვეღარ აიტანეს ოფიცერთა მიერ აბუჩად აგდება და საზიზღარი კვება.

გერმანიის ჯაშუშური ცენტრის სასამართლო პროცესი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საკდესი). სასამართლომ გამოაცხადა, რომ 22 აგვისტოს იწყება ამერიკის შეერთებულ შტატებში გერმანიის ჯაშუშური ცენტრის სასამართლო პროცესი. სასამართლოს წინაშე წარსდგებიან შემდეგი ბრალდებულები: გუნტერ რუმრიხი, ერიხ გლაზერი, იოჰანა გოფმან და ოტტო გერმან ფოსი. ესენი ყველანი აქტიური მონაწილენი არიან გერმანიის ჯაშუშური ცენტრისა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ფორდმა მილოცვა მიიღო ჰიტლერისაგან

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საკდესი). ამერიკელი ცნობილი საავტომობილო მაგნატი ფორდი, მისი დაბადებიდან 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, გერმანიის მთავრობის მიერ დაჯილდოებულია დიდი არწივის ორდენით. გარდა ამისა, ფორდმა მილოცვა მიიღო ჰიტლერისაგან. ოფიციალური ვერსიის თანახმად ფორდი ვითომ იმ სამსახურისათვის არის დაჯილდოებული, რომელიც მან გაუწია გერმანიის ავტომობილების წარმოების საქმეში. მაგრამ გაზეთი „დეილი უორკერი“ აღნიშნავს, რომ ფორდი დახმარებას უწევს გერმანელ ფაშისტებს ა. შ. შტატებში, აგრეთვე ეწევა ანტიპროფკავშირულსა და ანტისემიტურ საქმიანობას ა. შ. შტატებში.

შეჯაკებები ვენაში

პრაღა, 2 აგვისტო (საკდესი). როგორც ვენიდან გადმოგვცემენ, გუშინწინ ქალ. გრაცეს ცენტრალურ ბაზარში შესდგა ძლიერი დემონსტრაცია დიასახლისებისა, რომელთაც პროტესტი განაცხადეს პირველი მოთხოვნილების პროდუქტების ფასის მკვეთრად გადიდების წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა დაარბიეს სასურსათო მაღაზია და ლანძღვა-გინებით შეხვდნენ ბაზარში მოსულ პოლიციელთა რაზმს. პოლიციამ და მის დასახმარებლად მოსულმა მოიერიშეთა რაზმმა დიდი გაჭირვებით მოახერხეს დემონსტრანტების გარეკა. დიასახლისთა შორის არიან დაპატიმრებულნი.

იუწყებიან მთელ რიგ შეტაკებათა შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ უკანასკნელ დღეებში ვენაში. ასე, მაგალითად, მეათე რაიონში, სადაც უმთავრესად ჩეხები სახლობენ, მოიერიშეთა ჯგუფი თავს დაესხა ჩეხოსლოვაკელ მოქალაქეებს და ცდილობდა მოეწყო ჩეხების დარბევა. ქუჩაში თავმოყრილმა ხალხმა მოიერიშეები გააძევა.

მთელ რიგ პუნქტებში ვენის მახლობლად (ბადენი, მედლინგი) 29 ივლისს, ღამით გესტაპომ (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) მოახდინა „სამამულო ფრონტისა“ და სხვადასხვა კათოლიკურ ორგანიზაციათა ყოფილი წევრების მასობრივი დაპატიმრება. სამართალში აძღევენ 80 კაცს, რომელთაც ბრალსა სდებენ არალეგალური ორგანიზაციების შექმნაში.

საინტერესო ფაქტი მოჰყავს დღეს გაზეთ „სოციალ-დემოკრატს“. ამ დღეებში ვენის ვაგზლიდან გადიოდა მატარებელი, რომელშიაც გერმანიაში სამუშაოდ გაგზავნილი ახალგაზრდობა იყო, ვაგზალზე მოვიდა მოიერიშეთა რაზმი, რომელიც ორკესტრით „საზეიმოთ“ მიაცილებდა მიმავალთ. როდესაც მატარებელი დაიძრა, მოიერიშეებმა შესძახეს „ჰაილ ჰიტლერ!“ ამის საპასუხოდ რამდენიმე ასეულმა ახალგაზრდა მუშამ თავი გადმოჰყო მატარებლის ფანჯრებში და ერთხმად დასძახეს ანტიფაშისტური ლოზუნგები.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის მიერ ხანკოუელი, შანხაელი და ლონდონელი კორესპონდენტებისაგან მიღებული ცნობებით)

ცენტრალურ ჩინეთში

რეიტერის სააგენტოს ხანკოუელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის სარდლობის კომუნიკეს თანახმად, ჩინეთის ჯარები, მდინარე იანძის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ ნაპირზე, წარმატებით იგერიებენ იაპონელთა ჯარების იერიშებს. იანძის სამხრეთით ჩინელები ინარჩუნებენ ძალზე გამაგრებულ პოზიციებს ძიუძიანის სამხრეთითა და დასავლეთით მდებარე მთიან ადგილებში. იაპონელ ჯარებს გაძლიერებული იერიშები მიაქვთ სადგურ შახეზე ძიუძიანის (სამხრეთით), მაგრამ ისინი წინწაწევას ამ მიმართულებით ვერ ახერხებენ. რაოდენ იაპონელებს ჩინელი ჯარები გადამწყვეტ წინააღმდეგობას უწევენ, ხოლო მთებში მათ მძიმე არტილერიის გამოყენების საშუალება არა აქვთ, იაპონელები დიდ ზარალს განიცდიან.

პოიანხუს ტბის დასავლეთ ნაპირზე თავმოყრილია იაპონიის კანონერების დიდი რაოდენობა.

მდინარე იანძის ჩრდილოეთ ნაპირზე ჩინელი ჯარები წარმატებითი ოპერაციებს აწარმოებენ და იაპონელთა იერიშებს იგერიებენ. იაპონელები ვერც ფრონტის ამ უბანში ახერხებენ წინწაწევას.



ჭადრაკის მაგიდა, საიდუმლო ყუთით, სადაც ინახებოდა არალეგალური ხელნაწერები, წერილები, პარტიის II ყრილობაზე არჩეული ც. კ-ის არქივი. მაგიდა გაკეთებული იყო ვ. ი. ლენინის გეგმით. მარჯვნივ თარო, რომელშიაც ინახებოდა გაზეთ „ისკრას“ ნომრები.

ბოლშევიზმის საგანძურიდან

. განიერი, ბილიკებით მოფენილი, ნათელი კორიდორი. განაპირა დარბაზს, რომლის ფანჯრებიც ისტორიული მუზეუმის შენობას გასცქერიან, კარის ზემოთ ამოკვეთილი აქვს წარწერა:

III დარბაზი
1900—1903

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ამ დარბაზში, მოსკოვში, შეროვილი დოკუმენტები და მასალები გვიხატავენ ლენინისა და სტალინის მიერ გამოწრთობილ პარტიის, — იმ პარტიის წარმოშობასა და ჩამოყალიბებას, რომელიც XX საუკუნის დამდეგიდან მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ავანგარდში სდგას.

○

გადასახლებიდან დაბრუნების რამდენიმე თვის შემდეგ, 1900 წლის შემოდგომაზე ვ. ი. ლენინი სახელგარეთ მიემგზავრება, იმისთვის, რომ საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოშვება მოაგვაროს. აზრი ისეთი გაზეთის გამოშვებისა, რომელიც მოწოდებულია გააერთიანოს რუსეთის ყველა რევოლუციონერი მარქსისტი, ბოლო მოუსოს ბურჟუაზიულ-თეორეტიკოსთა გავლენას რუსეთის სოციალ-დემოკრატიაზე, ყოველ წვრილმანამდე მოფიქრებულია ლენინის მიერ ჯერ კიდევ მაშინ, როცა შუშენსკოეში იყო გადასახლებული. გადასახლებიდან დაბრუნებული ილიჩი გზად მთელ რიგ თანამერეებს აწყობს ამ საკითხზე უფაში, პსკოვსა, მოსკოვსა და პეტერბურგში. იგი უთანხმდება ამხანაგებს მისამართების შესახებ ლიტერატურის დასაგზავნად, შიფრების შესახებ საიდუმლო მიწერ-მოწერისათვის, იხილავს მუშათა კლასის მონოლიტური, ნამდვილად რევოლუციური პარტიის მომავალი ბრძოლის გეგმას.

1900 წლის დეკემბრს გამოდის „ისკრის“ პირველი ნომერი. უდიდესი მოელვარებით უყურებს კაცი გაზეთის პატარა ფურცელს, რომელსაც ფრთხილად ინახავენ მუზეუმში ცენტრალური სტენდის მინის ქვეშ. ამ ნომერში, ისევე როგორც ყველა შემდგომ ნომერშიც, პირველი ადგილი უკავია ლენინის სახელმძღვანელო სტატიას. დარბაზის მხახველნი ათვალიერებენ წვრილი შრიფტით აწყობილ გაზეთს, კითხულობენ ლენინის დაწერილ სტრიქონებს სტატიიდან „ჩვენი მოძრაობის საარსებო ამოცანები“.

„ისკრა“ არალეგალურად გადმოაქვთ საზღვარგარეთიდან რუსეთში, მას ბეჭდავენ და უშვებენ არალეგალური სტამბები. კედელზე გაკრულია ბაქოს არალეგალური სტამბის შენობის სურათი, სტამბისა, რომელიც ი. ბ. სტალინის დავალებით შეჰქმნა ლადო კეცხოველმა. ეს — „ისკრის“ ერთერთი უაღრესად გამოჩენილი წარმომადგენელი, ამხანაგ სტალინის ეროგულ თანამოოვაზე, — სიმამაცის სასწაულებს ახდენს არა მარტო საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთის გამოშვების მოსაწყობად, არამედ შემდეგ იმისთვისაც, რომ გამოუშვას ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატების საბრძოლო ორგანო, გაზეთი „ბრძოლა“, რომელიც ამხანაგი სტალინი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს.

საეკლესიო რუკა გვიჩვენებს „ისკრის“ ადგილობრივ ორგანიზაციათა განაწილებას ჩვენს ქვეყანაში, არალეგალური ლიტერატურის საწყობებს, გადაცემის პუნქტებს. იქვე გვერდით გამოფენილია „ისკრის“ 29-49 ნომრის მატრიცი, რომელიც რუსეთში არალეგალურადაა ჩამოტანილი არალეგალურ სტამბებში გამოსაყენებლად. დარბაზში პატარა ფიცარნაგზე დგას ჭადრაკის მაგიდა საიდუმლო ყუთით, სადაც ინახებოდა არალეგალური ხელნაწერები და წერილები (მაგიდა გაკეთებული იყო ვ. ი. ლენინის გეგმით), იქვე ჰკიდია თარო, რომლის შიგნითაც საიდუმლოდ ინახებოდა „ისკრის“ ნომრების თხელი ფურცლები.

ლენინური „ისკრა“ ფრიად პოპულარული ია მოწინაეე მუშათა მასებში. რედაქცია დიდძალ წერილს იღებს, სადაც გამოჭმულია მხურვალე სიმპატია. ერთერთ ასეთ წერილში, რომელიც მიღებულია ეიტრბურგელი ფეიქარი მუშისაგან, ნათქვამია:

„მე ბევრ ამხანაგს ვუჩვენე „ისკრა“ და მთელი ნომერი დიფლითა, ის კი ძვირფასია... აქ სწერია ჩვენი საქმის შესახებ, რომელსაც კაპიკებით ვერ შეაფასებ და, საათებით ვერ განსაზღვრავ; როდესაც მას კითხულობ, გასაგები ხდება, თუ რად ეშინიათ ჟანდარმებსა და პოლიციას ჩვენი, მუშებისა, და იმ ინტელიგენტებისა, რომელთაც ჩვენ მივყვებით. ისინი, მართლაც საშიშნი არიან მეფისთვისაც, მეპატრონეებისთვისაც, და ყველასათვისაც, და არა მარტო მეპატრონეების ჯიბეებისათვის. რა თქმა უნდა, მე უბრალო მუშა ვარ და არც თუ ისეთი განვითარებული ვარ, მაგრამ ძალიან კარგად ვგრძნობ, თუ სად არის სიმართლე. ვიცი რაც არის საჭირო მუშებისათვის. მუშა ხალხი ახლა შეიძლება ადვილად აენთოს, უკვე ყველაფერი ღვავის ქვეშაა, საჭიროა მხოლოდ ნაპერწკალი და ხანძარი იფეთქებს. ოჰ, რა სწორედ არის ნათქვამი, რომ ნაპერწკლიდან იფეთქებს ალი“.

ამ წერილს, მრთავსებულს გაზეთ „ისკრის“ № 7-ში 1901 წლის აგვისტოს, ისევ როგორც მუშა-მკითხველთა სხვა წერილებსაც, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს III დარბახის ექსპონატებს შორის.

ერთი ეიტრონიდან მეორესაკენ გადადახარ და თანამამდგომრობით ეცნობი დიდი ლენინის ბრძოლას მუშათა კლასის რევოლუციური პარტიისათვის. სოციალ-დემოკრატთა დაქსაქსული ურიები და ჯგუფები ერთიანდება, მტკიცდება „ისკრის“ გავლენით, ისინი თავიანთ ორგანიზაციებში თავს უყრიან არალეგალურად მომუშავე ყველა ნამდვილ რევოლუციონერ მებრძოლს. მუშათა მოძრაობას რუსეთში სულ უფროდაუფრო ენიჭება პოლიტიკური ხასიათი, იგი დღითი-დღე იზრდება. ჩვენს ქვეყანაში ხდება საბრძოლო რევოლუციური დემონსტრაციები და გაფიცვები. მზადდებს დასამუშავებელ ქართველი პოეტების: გალაქტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, ალიო მაშაშვილის და სხვ. ცალკე კრებულებს.

პოეტი ნ. ტიხონოვი რსფსრ „გოსლიტიზდატის“ დავალებით სთარგმნის რუსულად პოეტ ს. შანშიაშვილის რჩეულ ლექსებს.

„საქართველოს პოეზია უძველესი დროიდან დღევანდლამდე“

თბილისში ჩამოვიდა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის ბრიგადა. ამ ბრიგადისა და რუსეთის „გოსლიტიზდატის“ ხელმძღვანელმა ამბ. გოლცევმა საქართველოს თანამეთაურ ომელთან საუბარში ბრიგადის მომავალი მუშაობის შესახებ განაცხადა:

— ბრიგადის ძირითადი ამოცანაა დასაბეჭდათ მოამზადოს მონუმენტალური ანთოლოგია — „საქართველოს პოეზია უძველესი დროიდან დღევანდლამდე“. ანთოლოგიაში შევა ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, უძველესი და თანამედროვე ფოლკლორისა და აგრეთვე ქართული საბჭოთა პოეზიის ნიმუშები.

რუსთაველის წინადროინდელი პერიოდი წარმოდგენილი იქნება პოეტებით — შავთელითა და ჩახრუხაძით. ანთოლოგიაში შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“ დაიბეჭდება პაული ანტოკოლსკის ახალი თარგმანით. ძველი ქართველი პოეტებიდან მოთავსებული იქნება თეიმურაზის, არჩილის, ბესიკის, დ. გურამიშვილის და სხვების ნაწარმოებნი.

XIX საუკუნის პოეზია წარმოდგენილი იქნება ა. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის ვ. ორბელიანის, რ. ერისთავის, ვაჟა-ფშაველას და დავითაშვილის ნაწარმოებებით. რუსულ ენაზე პირველად გამოვა ჭოთუელი კლასიკური ლიტერატურისა და ფოლკლორის მთელი რიგი ბრწყინვალე ნიმუშები.

წიგნი გამოვა 1939 წელს 15.000 ცალის რაოდენობით.

ბრიგადა ამზადებს აგრეთვე შორე გზა — „საქართველოს ახალგაზრდა პოეტების“ კრებულს. კრებულში შევა ახალგაზრდა პოეტების ირაკლი აბაშიძის, გ. აბაშიძის, ა. გომიაშვილის და გ. ყაჟაიძის ლექსები. კრებული გამოვა კოშკავშირის 20 წლისთავისათვის.

პოეტების ბრიგადა ვ. გაფრინდაშვილისა და ბ. სერგბრიაკოვის მონაწილეობით ამზადებს დასამეჯდათ ქართველი პოეტების: გალაქტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, ილო მოსაშვილის, ალიო მაშაშვილის და სხვ. ცალკე კრებულებს.

პოეტი ნ. ტიხონოვი რსფსრ „გოსლიტიზდატის“ დავალებით სთარგმნის რუსულად პოეტ ს. შანშიაშვილის რჩეულ ლექსებს.

წითელი არმიის ლენინგრადის სახლის ანსამბლის გასტროლები

4 აგვისტოდან საქფილეგთის საზაფხულო თეატრში დაიწყება წითელი არმიის ლენინგრადის სახლის წითელარმიული ცეკვა-სიმღერის ანსამბლის გამოსვლები. ანსამბლი შესდგება 50 მონაწილისაგან.

ანსამბლის რეპერტუარში არის წითელარმიული და ხალხური სიმღერები, ლიტერატურულ მუსიკალური ნომრები, აგრეთვე ცეკვა.

გასტროლები რამდენსამე დღეს გაგრძელდება. (საქდესი).

ამინდი

2 აგვისტოს დასავლეთ საქართველოში იყო მცირე მოღრუბლულობა, სიმშრალე. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღნიშნული იყო ზუგდიდში (32 გრადუსი), ყველაზე დაბალი —(27 გრადუსი) ხულოში. ქუთაისში აღნიშნული იყო 31 გრადუსი, ბათუმში—27.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში იყო მცირე მოღრუბლულობა, სუსტი ქარი. ყველაზე მაღალი ტემპერატურა აღნიშნული იყო თბილისში, ყარაიასა და გურჯაანში (30 გრადუსი), ყველაზე დაბალი—გუდაურში (13 გრადუსი).

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, სუსტი ქარი. ტემპერატურა 16 გრადუსიდან ღამით 31 გრადუსამდე დღისით.

მარჯანიშვილის თეატრის შეხვედრა მნახველებთან

2 აგვისტოს „ბურჟუა-ზალიტვინ“ შეხვდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის შეხვედრა მწერლებთან. თეატრის განვლილი სეზონის და მომავალი პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა თეატრის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **შალვა ლაშბაშიძემ.**

ამბ. შ. ლომბაშიძემ დამწყრეთ გააცნო, რომ თეატრს დასადგმელად მიღებული აქვს 7 პიესა: უშანგი ჩხეიძის — „გიორგი საკაძე“, ვ. გაბესკირიას — „მათი ამბავი“, ა. ბაბუნაშვილის — „მთების აჯანყება“, ს. ეულის — „ბედნიერება“, მ. გორკის — „ეგორ ბულიჩევი“, გოგოლის — „რევიზორი“. გარდა ამისა, თეატრი მუშაობს გიორგი წერეთლის „ბულქანის“ გასცენიურებაზე.

მოხსენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ ი. მუკდლიშვილი, შ. დადიანი, ნ. თარხნიშვილი, აკ. ბელიაშვილი, გ. ნუცუბიძე, ს. ეული, ვ. წულუკიძე, დ. ჯანელიძე და ბესო ოღნტი.

თათბირმა აღნიშნა, რომ დაუშვებელია, როცა რეჟისორი წლის განმავლობაში თითო პიესის დადგმით კმაყოფილდება. თეატრმა კიდევ უფრო გაბედულად უნდა აიღოს კურსი თანამედროვე პიესების დადგმაზე, შეჰქმნას ლირიული სპექტაკლები ჩვენს გმირულ აწმყოზე, უნდა გაძლიერდეს აქტიორთა და თეატრის ხელმძღვანელთა სამმიანი კავშირი, ურთიერთ დახმარება. დრამატურგების ვალია სწერონ წმინდა ქართულით, უნდა დაიგმოს ენის ნატურალიზმი.

ოთ. ეგაძე

ამერიკელი პედაგოგები თბილისში

ბათუმიდან გამოვლით თბილისში ჩამოვიდა ნიუ-იორკელ მასწავლებელთა ჯგუფი 27 კაცის შემადგენლობით. ჯგუფმა ხელმძღვანელ პროფ. ვატსონის მეთაურობით ინახულა საქართველოს მუზეუმი, სადაც დაწვრილებით დაათვალიერა გამოფენა „რუსთაველი და მისი ეპოქა“, პიონერთა ბანაკი კოჯორში, თბილისის მე-3 საშუალო სკოლა და საბავშვო კერა. ჯგუფის მონაწილეთა თხოვნით 2 აგვისტოს მათ უჩვენეს საქართველოს ეროვნული ხალხური ცეკვა, რაც შეასრულეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებმა.

3 აგვისტოს ინტურისტები საქართველოს სამხედრო გზით გაემგზავრნენ ქალაქ ორჯონიკიძეში. (საქდესი).

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

4 აგვისტოს

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მუშების გალატაკება კაპიტალისტურ მსოფლიოში.

კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. შ. სვიმონიშვილი. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მეწმენდიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904-1907 წ. წ.). კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. ვერულია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

○

საქ. კ. ბ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის სახელობის რაიკომი იუწყება, რომ 4 აგვისტოს მე-107 სკოლის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 155) შესდგება აგიტსემინარის მეცადინეობა. ყველა აგიტატორის დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი.

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

4, 5, 6 აგვისტოს ტალ. № 65, 66, 67
გასტროლები
ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის წითელი არმიის სახლის წითელარმიული ნიმღერისა და ცეკვის ანსამბლისა (50 კაცის შემადგენლობით)
დასაწყისი 9 ს. 30 წ.
დაიწყო მუდმივ ბილეთებზე მე-3 შესატანის მიღება.

ღია ესტრადა
4, 5 აგვისტოს
ხმოვანი კინო-ფილმი
დასაწყ. საღ. 10 ს.
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით
ანონსი: ამ დღეებში სტალინოს ოპერეტის თეატრის გასტროლები.

განცხადებების მიღება
გაზეთებში:
„კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“, „პროლეტარი“ და „ენი-ქენდი“
სწარმოებს
დილის 9 საათიდან 2½, ს-მდე
„კომუნისტის“
გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი, № 34.

საქართველოს მინსახკომის 1905 წლის რევოლუციის სახელობის ქალ. წულუკიძის მექანიზაციის ტექნიკუმი

აცხადებს ტექნიკუმში შემომსვლელთა საყურადღებოდ, რომ 1938—39 სასწავლო წლისათვის ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი და ზეპირი), მათემატიკაში (წერითი და ზეპირი), ფიზიკურ გეოგრაფიაში, ფიზიკაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში და რუსულ ენაში (წერითი და ზეპირი).

ის ძოქალაქენი, რომელთაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრაადხე (ხეპოაღნიშნულ საგნებში) მიიღებიან უგამოცდოდ.

ტექნიკუმში შემოსვლის მსურველთა განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დედნები:

1. არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. ჯანმრთელობის მოწმობა, 4. სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა (სამხედრო ვალდებულთათვის), 5. ორი ცალი ფოტოგრაფიული სურათი, შემოუმტვრეული სახ. დაწესებულების მიერ. ტექნიკუმში ჩარიცხული მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან ბინით, ჯამობა-განათებით და სტიპენდიით (საერთო წესით).

განცხადებების მიღება იწარმოებს 18 აგვისტომდე. ვამოცდები 19 დან 28 აგვისტომდე.

ქ. წულუკიძე, ლენინის ქ. № 83, მექანიზაციის ტექნიკუმი.

18570 მექანიზაციის ტექნიკუმის დირექტორი ვ. აბზიანიძე.

თბილისის საფეიქრო-ინდუსტრიული ტექნიკუმი

აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1938-39 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში ამზადებს საფეიქრო მრეწველობის ტექნიკოსებს რთვისა და ქსოვის დარგში.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 25 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ არასრული სკოლის კურსი (ყოფ. შვიდწლედი).

განცხადებების მიღება სწარმოებს 1 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 აგვისტოდან 29 აგვისტომდე შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერითი და ზეპირი), 2. რუსული ენა, 3. მათემატიკა (წერითი და ზეპირი), 4. ფიზიკა, 5. პოლიტიკოდნა.

ტექნიკუმში შესვლის მსურველებმა უნდა წარადგინონ: 1. განცხადება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე, 2. ავტობიოგრაფია, სამი შემოწმებული ფოტოსურათით, 3. განათლების მოწმობა, 4. მეტრიკული ამონაწერი, 5. ჯანმრთელობის მოწმობა

ტექნიკუმში ჩარიცხულთა 60% უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით და 20% ბინით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება—ტექნიკუმის კანცელარიაში, თბილისი, დიდუბე, ბრძოლის ქუჩა, მაუდის ფაბრიკასთან, დილის 9 საათიდან 4 საათამდე.

1734 სასწ. კომბინატის დირექტორი ბ. ვერულაშვილი.

თბილისბჭოს ქალაქის ლომბარდის დასკვნითი გალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ძირითადი საშუალებანი	63,1
2	მასალები	4,4
3	გაცემული სესხი ბირავნობათა ქვეშ	1.155,6
4	ფულადი საშუალებანი	17,6
5	საშუალებანი ანგარიშსწორებაში	41,2
6	ხარჯები მომავალ ოპერაციების ან-შით	3,3
7	განყენებული საშუალებანი	7,0
8	ხარჯები ფონდების ან-შზე	2,6
	ბალანსი	1.294,8

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ჯამი
1	ფონდები	874,6
2	მიზნობრივი რეზერვები	0,2
3	მოკლევადიანი კრედიტები	300,0
4	ანგარიშსწორებანი	3,7
5	დაგროვებანი	88,3
	ბალანსი	1.294,8

მოგება-ზარალის ანგარიში.

1.	გაცემული პროცენტები	11,1	1. მიღებული პროცენტები 273,8
2.	ხარჯები და ზარალი სხვადასხვა	186,0	2. სხვადასხვა შემოსავალი 11,6
	სულ	197,1	სულ 285,4
3.	დაგროვებანი	88,3	
	ბალანსი	285,4	ბალანსი 285,4

ბალანსი დამტკიცებულია თბილსაბჭოს საბალანსო კომისიის მიერ ოქმი № 4. 1938 წ. 23 აპრილს.

ლომბარდის მმართველი მ. ახალაძე. მთ. ბუღალტერი ი. ზვიადაძე. 1642

თბილისის მკურნალობისა და კოსმეტიკის კაბინეტი ეძიებ ნ. გ. კონჯორიოვიჩისა
გადავიდა
ელბაკიძის დაღმართზე (ყოფ. ვერის დაღმ.), № 21. მიღება 12-დან 3-მდე და საღ. 6-დან 8 საათამდე.

კაბინეტი მკურნალობს ძიძიბებს, ფერისმკამელას, ჭორფლს, ტალებს, ნაოჭებს, კანის სიმშრალეს, თმის დაცვენას, ქერტლს, სპობს მეტეჭებს, ხალებს, ნაჭრილობევს და სახისა და თავის კანის სხვა ნაკლს 77431

დაკარგულია
საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ახალციხე-ახალქალაქის წყალთა ოლქის მრგვალი ბეჭედი.
ჩ. გ. 18534

საქ. სას.-სამ. ინსტიტუტი აცხადებს, რომ ასპირანტურაში მისაღები გამოცდები
გადატანილია ა. წ. 10 სექტემბრისათვის.

განცხადებების მიღება გრძელდება ა. წ. 1 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობები იხილეთ გაზ. „კომუნისტში“, ა. წ. 25 ივნისის № 145.

1731 დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.

საქ. ლიტონმრეწველობის ორგბიურო
ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ბერიას სახელობის კლუბში (თბილისი, პირველი მაისის ქუჩა, № 10)
მოწ